




ნიუსი

13-14
84



უსიბუვოდ



— რა გპიტყვებს იხეთი, რომ ვერ შვა-
სუნა?
— ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ
კვერცხიო?

— მანამდე მანამდე რომ პტოვპათ,
მე ისა ვარი!

წინასაგამოსდომო ფიცის ტექსტი

მშობელი: ვფიცავ, ვიყო თავდაჭერილი — არ ავეყულო უმაღლესი სასწავლებლის კარებთან, არ ჩავერიო გამოცდებში, არცა ჩავერიო ნათესავი და ახლობელი ჩემი, არცა ნაცნობი, არცა უცნობი, არცა ხელის ჭუჭყი, არცა ნივთი ძვირადღირებული!.. დაე, ჩემს შვილს მიეზღოს დამსახურებისამებრ!

განმცემელი: ვფიცავ, ვიყო ობიექტური — არ შევისმინო თხოვნა-ვედრება მეუღლისა, მეგობრისა, ნათესავისა, არცა ახლობლისა, არცა ახლობლის ახლობლისა, არცა შვილისა, არცა ტელეფონისა ზემოდან, არცა მაცდუნებელი ჩხრიალი ეშმაკის კვერთხისა!.. დაე, აბიტურიენტს მიეზღოს დამსახურებისამებრ!

განმცემელი მანქანა: ვფიცავ, ვიყო ზუსტი — უდრეკი, უგულო, უსულო, უგრძობი!.. დაე, აბიტურიენტს მიეზღოს დამსახურებისამებრ!

აბიტურიენტი: ვფიცავ, ვიყო პატიოსანი — არ ვისარგებლო პროტექციით, არცა კარნახით, არცა „შპარგალკით“, არ გადავიწერო მეზობლისაგან, ვუპასუხო საკუთარი ცოდნით!.. დაე, მომეზღოს დამსახურებისამებრ!

ა. ბ.



ნახ. ზ. ლეშაბასი

— ვიცი, შვილო, რისი დამწერიც ხარ, ამიტომ, როგორც კი მიუჯდები მაგიდას, პირდაპირ საპრეტენზიო განცხადების წერა დაიწყე!



ვრც

დადგა ზაფხული, დადგა სეზონი და ალბით. გავიდა ფენისი, ე. ი. ის თვე, როცა ცოდნის სასწორზე მისხალ-მისხალ უნდა იწონებოდეს სიმეფითისა და სიზარმაცის მოსავალი!.. ცოდნის გოლიათია — რომელი უმაღლესის კარებთანაც უნდა დააყენო, შეაღებს და:

შევა, სულ ხალიჩასა და ფარდაზე ივლის, სანამ სტუდენტის მერსზე არ ჩამოჯდება, მაგრამ ავეისტო განა მარტო წიგნთან დადებული დღეებისა და გათენებული დამეების რთვობაა. არ დაიჯერო!.. იგი ხანადირო სეზონიც არის... თუმცა, უფრო მდამიური ენით რომ ვთქვათ, ის თვეა, როცა გაქნილი მექრთამეები მშინური ობობეფით არიან ჩასაფრებული, ხოლო ქალაქში დაგზავნილი ვერეთ წოდებული შუაკაცები უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტის შემოგარენში ეძებენ გრძელყოფიანსა და ჯიბეშუქვან კლიენტურას!.. ღმერთმა თქვენ დღეგრძელობა მოგცეთ, იმათ თავიანთი საქმე კარგად იცოდნენ. წინაეც მარტივი ფილოსოფია უღვეთ — ცხვარი თუ არ გაპარსე, მატყელი შეჭამს და დაადნობსო! ჰოდა, რამდენი ასეთი „გაპარსული ცხვარი“ ზღავის სოლმე სექტემბრის დასაწყისში!.. მე არა მცალია და თქვენ დაითვალეთ!..

სიტყვა რა ტკბილი სანახავია ჩვენი თბილისი და საქართველოც საინსტიტუტო ქალაქები ივლისშიც! ქუჩაში ტაქსი ვერ გავიჩერებია, არის ურთი მისვლა-მოსვლა, გაძრომ-გამოძრომა, მიღვომ-მოღვო-მა, მისხლები გამოცდების კომისიების წვერებთან „დასუჭობანასა“ და „დაჭერობანას“ თამაში. ზოგიერთ მშობელს ვერ დააჯერებ, რომ მისი შვილი, გინდა ცოდნის საბაღზე კვიდოს, ისე ვერც ფაკულტეტს მიავნებს და ვერც სტუდენტის მერსს, თუ უმაღლესში ფული და ქრთამი არ შეუძლავ! ჰოდა, ზადეც იქ გაიმლება ხოლმე, სადაც საკალმანე წყალი ჩაედინება!..

ახლა ამ მრუდ საქმეში ჰიპოტრილი შუაკაცის პორტრეტს ჩავაკრავ ამ წერილში, ეგება წელს შინაც იცნოთ და თოფის გასროლაზე მოერიდოთ, თორემ მერე ორი მუშტით თავის დაბეჭვა, სინანულით ჩამოყრილი, დამჭვარი ყურები და ცრემლის წურვა ვერაფერს გიშველით! ერთი შეხედვით, ეს ქველმოქმედი ქრისტეს ღვიძლი შვილია, კეთილი, კაცთმოყვარე, ამქვეყნად სულ სხვის დამხმარედ და მშველელად მოვლენილი, სინამდვილეში კი ამ კომს ისეთი ფსა აქვს, ყელში რომ გაგეჩნირება, მადეც ქორისა მიოცია ბუნებას, მისთვის შენ ის ღლავი ხარ, მალე ტყაფაზე რომ შეაგდებს და აამიშხინებს, მანამდე კი ისეთ ტკბილ საკენკს დაეიყრის, ისე კონტად გაგაცურებს, მერე შენვე მოგეწონოს, საქმე სატირლად და თავში საცემად რომ არა გქონდეს!.. შენ კი, ოღონდ კაცი გაპოუნინონ, ოღონდ დარდი ბუჭვიდან ძირს დაუშვა და წითელ უშმაკსაც კი ენდობი!.. საიდან განნდა, რამ შობა ასეთი მრუდე აზრი? თუმცა კი ერთიც სიმართლისკენ გავისვლოთ — ჯერ კიდევ არის აქა-იქ საგნობრივ მიმღებ კომისიებში ჩრდილი და ჰინჭარი: ზოგიერთისთვის მისხლები გამოცდების კომისიის წვერობა თუ თავმჯდომარეობა ლამის საშტატო ერთეულად იქნეს, ყოველ წელს ერთი და იგივე გვარი წერია სიამში! მათ მძებნელსაც! მეტი რა უნდა? წინასწარ იცის, ვისკენ უნდა აიღოს გეზი!..

ფრთხილად, მშობლებო! პირს ცეცხლით ნუ დაიბანთ, ფორუმ კანონის ყურმა თუ გაიგო, მისი ხელიც მოგწვდებათ! წიანგი ვარ და ყველაფერს ვხედავ, ისიც ვიცი, როგორ დაეძებთ ხოლმე რეპეტიტორად შინცდამაინც საგამოცდო კომისიის შტატთან წვერს, თუ ასეთს „პინგვინი“ ჩააბარეთ, გული საგულეში გიდევთ, იმას კი აღარ ჩივით, თქვენი პირმშო ამ მეცნიერების ფერმერთან მართლა ცოდნას იღებს თუ სახედრის გალობას სწავლობს! მერე მისვალთ, მიიკლანებოთ, მსუყე გასამრჯელოს ჩათუვლით და სხვასაც ბევრს დაპპირდებით, ოღონდ მისი ბრმა უსლოდინარობა გამოხანენზე არ გამოიტანოს და ნიშანი მიადებინოს!.. ვიფიქრე და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, ისევე ფანტიაშვილები დაგარქვით — ფანტეთ თქვენი ჯიბის დალა და ნაშოვნ-ნაღვაწი (თუმცა ძალიან მეეჭვება, შრომის ნაყოფი ასე ადვილად გაიმეტოთ). უსინდისობას ორი ლოყა აქვს — ერთი თქვენი, მეორე — მექრთამე-შუაკაცისა, კანონის სილა ორივეს უნდა გაეწნას, თორემ, ღმერთმანი, თქვენისთანა გასაპუტი ინდაურისა და გასაკრევი ცხვრისთვის ალალი იქნე-

სიღალღ!

მა ცხელი წყალი და მჭრელი დუქარი. რატომ გვერათ ასე ბრმაღ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე სიმართლედ თვალდაუხურავი დადის? სხვათა შორის, ჩარიცხულის გამოცხადებამ შეიძლება უმაღლესი სასწავლებლიდან; აბა, რა იქნება, როცა აუდიტორიაში მრუდე გზებით მოხვედრილი „პინგვინი“ წიგნთან გაუკარებლად, მთქნარებით დააპირებს დამთავრებას და დიპლომის აღებას?

ამ აბზაცში ერთს თქვენკანც ვიტყვი: მიმღებ კომისიებში ცის ნამითა და ცვარით პირდაპინილი, უღრუბლო პატიოსნების ადამიანები უნდა იხსნდნენ, ისეთები, ვისაც მართლა არ უნდათ მათში დარჩენა და არა ისეთი, რომლებიც ცეცხლივით წრიალებენ, რომ როგორმე კომისიებში მოხვდნენ! დიას, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა უნდა წარადგინონ ღირსეულები, რადგან ეს საერთო-სახალხო საქმეა! სამწუხაროდ კი ზოგჯერ ეს ასე არ არის — ყველაფერი თვალმოფარებულში წყდება — მიმღები კომისიის თავმჯდომარე თავისი ნება-სურვილით ადგენს გამომცდელთა სიას, კოლექტივს ვინ რას ვკითხება! აი, ერთი ღია სვრელი, საიდანაც შეიძლება უწმინდურება შესრიალდეს საგამოცდო კომისიაში, თორემ, აბა, რასა ჰგავს?!. რომ არ ვიცო, მაგრამ ზეპირად ჩამოვიტოვლით, ვინ რომელ საგანში იქნება კომისიის წევრად, თქვენ ოღონდ თავმჯდომარე გამახსენეთ! იმის ვარკვევას კი რა უნდა, ვისთან კარგად არის და ვისთან ცუდად?!

სიფრთხილეს მუღამ უნდა ეღვიოს — ხშირად თავმჯდომარედ ისეთი პიროვნება წამოაგდება ხოლმე, კოლექტივი რომ მრუდე კაცად, მარტო საკუთარ საქმეთა მმართველად, სინდისშემღვრულად ადამიანად იცნობს, მაგრამ, აბა, სმა ამოიღე! — პირში მღუღარეს ჩაგახსამენი... უშმაკი რას გიზამს, ღმერთი თუ გმფარველობს?! მთავარი, კულისებში ითამაშოს პატიოსანი კაცის როლი — ზოგიერთი ხელმძღვანელის გული მოიგოს! ასე ითხარა უფსურული კოლექტივისა და ხელმძღვანელობას შორის და ამ ჩატენილ ხიდზე მხოლოდ სავეჯო სინდისის ადამიანები თუ გაირბენენ ხოლმე!..

მშობლის ყურს კი რა გამოეპარება?! — ასეთები გესმით და თქვენც წვრილდებით, რომ ნემსის ყუნწში გაეტიოთ!...

ეს დალოცვილი საქართველო ხელისგულზე ეტევა. ცოტანი ვართ და ლამის ყველა ერთმანეთს ვიგნობი „გამარჯვებითა“ და „მშვიდობით“. ყველა ნაცნობს რომ ხელი გუშართო, გამოცდაზე მისი პროტექტორს დაბარბაცებულ ნიშნის ხელი შეაშველო, განა ისევ უსამართლობა არ გამოიჩეკება? იმით თავის მართლება — სხვას რომ ცოდნას არ ვუკარგავო, იმას ნიშნავს, გუშინ სისაძაგლე ჩაიღინო, დღეს — არა, და თავი პატიოსანი, მართალი კაცი გვეგონოს!...

მოკლედ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მისახედი, და ეს ყველაფერი მშვენიერ ამინდს ქმნის ხელმრუდეებისთვის — აგვისტო მათთვის მართლაც მკათათევა! მკიან და ლეწავენ სხვის ნაშრომსა და მოყვანილს. აბა, რა მოქალაქე და მამულიშვილი დადგება ის, ვინც თავისი ცხოვრების გზა დანაშაულით დაიწყო, ვინც სხვისი ადგილი დაისაკუთრა უმაღლეს სასწავლებლებში? საქართველოს ასეთი შვილი ისე სჭირდება, როგორც რთვლობაში ჩამდგარ კანთის მარბიული ღრუბელი და ცივი ხეტყვა!..

გაიგეთ, მშობლებო! — თუ თქვენი შვილების ცოდნაში დარწმუნებული ხართ, ფეხდაგმულ კლდესავით იარეთ, სიმართლისკენ მიმავალ გზას დაადექით და მწიფე ვაშლებივით ნუ ჩაუცვივდებით გაშლილ კალთაში იმათ, ვინც იმავე სიმართლის შეურცხყოფით მდიდრდებიან!..

რას ვიზამთ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა სულშიც სიხარბის-უშმაკი აფთურებს ხელებს, გველის სისხარტით მემინიან ყველაფერს, რასაც მისწვდებიან და ყელში გადაუვით, თუმცა ისეთებიც არიან, რომელთა სახელსა და ავტორიტეტს სხვა ვადა-ახურდავებს ხოლმე ფულზე. ეს ასე ხდება: მოდის შენი კარგი ნაც-

ნობი, იქნებ მეგობარიც, მოჰყავს ჯერ სრულიად ნორჩი „პინგვინი“ და გუებნება, რომ მისი ნათესავია ან რაღაც ამგვარს. მისი ვართ და ცოდვილი, რომ შეიძლება მართლაც გულთან მიიტანო სათხოვარი, მერყევი ნიშანი იმისკენ გადაწონო?! აბა, მობრძანეთ, რომელ სატზე დაიფიცებ, რომ ის სასტუდენტო მასალა მართლა ნათესავი იყო — სისხლს გაუსინჯავ, თუ გენეალოგიური სის კენწეროდან გადმოსვდავ მისი წინაპრების ნაგრამს?! იმან კი ამ დროს შენი ნდობით ივაჭრა და კარგი სარგებელიც ნახა, შენ სინდისს ჩირქი მოსცხო, ბუზი დაახვია!.. როგორ გგონიათ, რას ეუბნება ასეთი მზრუნველი აბიტურიენტის მშობლებს? — ალბათ მისვლით! ასე ისვრება და ითითხნება ზოგჯერ ცამდე მართალი კაცი, ამიტომ მიმღები კომისიების წევრებმა უჩინაჩინის ქუდები შეიკერეთ, თორემ თქვენი საშველი წამალი ამ ჩვენს სანათესავე საქართველოში არ არის! განა არ ვიცო, როგორ ნადირობთ თქვენზე სინდისიდან გაქეული ბრაკონიერები, სასლებთან ჩასაფრებით, ავტომანქანებში ლამეების თევით, მიკითხვა-მოკითხვით!.. წინ რომ ცხრა მთა აიფარო, მაინც მოგნახვენ, თუ არადა, გამოცდაზე მიმავალს ჩაგისაფრდებიან. აი, რას გირჩევთ მე — ნიანგი: ხელში რომ ფიწალი მიჭირავს, ის გამომართვით და იმით დაერი. ეთ თქვენი პატიოსნების მძარცველებს, ტანზეც პრინციპულობის ჯავშანი გადაიცვით, კიბლზე ნუ ჩამოიხსნდებით, თორემ მერე ველარაფერი გიშველით — მშვენიერად შეგარამუნებთ თქვენი ტიტულებით, ხარისხებითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით, თუმცა ასეთი სადილი დიდად არ მებაძება!.. მართალია, ამ ბოლო წანს დატრიალებულმა ცვლილებებმა მენიუ შემიმცირა საქართველოში, მაგრამ საჭმელ-სასმელი ჯერ არ მაკლია, პირიქით, ზოგიერთ ქართულ ნუგებარს ჩემს ღვიძლ ძმას — „კროკოდელსაც“ გვეუზავანი ხოლმე, დანარჩენს კი ფელეტონისტები დაიტყუებენ!.. ამიტომ ფრთხილად, მეგობრებო, სანამ გვიან არ არის, სანამ სინდისი მთელი გვაქვს, თორემ რომ ხედავთ, ყველას სწავლა უნდა, თანაც უმაღლესში უნდა და ინდაური ფილოსოფიის ფაკულტეტზე შეიტანს განცხადებას, ბატი აეროდინამიკის/შესწავლას მოისურვებს, კუს კი სპრინტში მსოფლიო ჩემპიონობა მოუხდება!.. სწორედ ასეთებს დაადგათ გულბოყვად სასკოლო პროექტი, რომელიც მხოლოდ ნიჭსა და უნარს უსხნის გზას! გეწამდეთ, რომ მხოლოდ შრომით მოპოვებულს აქვს ის ღალა და ყუათი, ადამიანის სხეულს რომ ინახავს და სულს აპურებს! როცა ფულის დასწავლი, ნაცნობ-ნათესავებით ცდილობ შენს შვილს უმაღლესი სასწავლებლის კარი შეუღო, განა ამით გამოუსწორებულ დანაშაულს არ სწამდნარ, პირველ რიგში, საკუთარი შვილის წინაშე? ამით ღვარძლს თესავ და ღვარძლსვე მოიპკი ასე ფუტურთვდება ადამიანის ხული, ასე უღუნდება სიზარმაცესა და მცონარობას ხელფეხი!.. აბა, თითი რატომ გაანძროს, როდესაც ყველაფერი თავისთავად მოხდის?! და რას ვიღებთ? — ჩლუნგ იურისტს, უნაბლუ ფილოლოგს, გონებანადრძობ ფილოსოფოსს, ისტორიკოსს, რომელსაც ერეკლე მეთერთმეტე საუკუნის მეფე ჰგონია, სოლო მაკედონელი — უნივერსალის დირექტორი (ეს უკანასკნელი რამ ნიანგის ჩვეული შემობოა არ გვეგონოთ, ჩემს ვაგრსა და ჯილაგს ვაფიცებით, საკუთარი ყურით მომისმენია!). ამიტომ არის, რომ ზოგი ინტელიგენტი სწორქართულადაც ვერ მეტყველებს. საცოდაობაა მათი ყურება ტელევიზიით და მოსმენა რადიოთი, — ქართული სიტყვა ყელზე ადგებათ, აზრი აზრისთვის ვერ მიუკერებიან, ისე საცოდავად ააცემენებენ ხოლმე ტუჩებს, თითქოს ჩალას ცოხნიდნენ!.. ვსევ შენი დიპლომი და უმაღლესი!.. ფრთხილად, ფრთხილად, თორემ დიპლომიანი უვიცი ისეთი რქოსანია, რომელიც ადგილიდან კვლავსაც კი დასტრავს — თავხედობა არ აკლია და შემართება! (რომ გაგიგონიათ, ნიჭიერს უნდა დახმარება, თორემ უნიჭო თვითონ გაიტანს ვასტანსო!) ამიტომ ასეთი შავით ნაკერი კაცი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ამა თუ იმ დაწესებულებას, სფეროს, უბნის ხელმძღვანელადაც კი მოგვევლინოს! თქვენვე განსაჯეთ, რას დათესავს და რას მოამკვეინებს იგი ქვეყანას!..

დაე, მისაღებ გამოცდებზე ცოდნამ, შრომამ, სიმართლემ, ნიჭმა გაიმარჯვოს! დაე, ობიექტურობამ, კეთილშინსურნებებმა, საჯაროობამ იჩვიმოს!

ეს არის სრულიად საქართველოს აუქმეველი სურვილი! სამშობლო კი მბრძანებელია!..

გაგაგნეგეგელი აბი- აბიტურიენტი!

რა ხვატია! სიცხისაგან უკვე გვესმის თავზე რეტი, ზენიტზეა მზეც და ისიც — ჩვენი აბიტურიენტი! დროა ძებნის, ზუთხვა-კითხვის, დაპირების, გაოცების, წნევას ვზომავ (თქვენთან ერთად!) კარზე მომდგარ გამოცდების!

უმაღლესი! — ამ ერთ სიტყვას ველარ ისვრი უკვე ბანზე, დიდ-პატარა ეშურება საავგისტო მარულაზე! ყალიბდება კომისია, სიაც უკვე დაკისკისებს, ის გააქრეს! ეს იქაა! აქ არა ვარ? რას იკისრებს?! სიმართლისას რომ არ უგავს აღარც სუნი, აღარც ფერი, — მეცხრე ციდან ჩამოგძახებს მეცხრე პირით ანაფრენი. ვისთვის ფულის, ვისთვის გულის, ვისთვის ცოდნის ფრიალია, —

(ვინც პროგრამის ათვისებას დღე და ღამე მიაღია!) ბევრ რამეს წყვეტს საპროტეუო პოზიციის გამაგრება, — გამოცდელის ნახვა ღამით ნიშანს სულ არ წაადგება? რაკი საქმე დაწყებაა, მოისინჯოს უნდა ფონი (ამ საქმისთვის, რომ იტყვიან, მისწრებაა ტელეფონი!) მოიხსრიკა სადარბაზო, განა ერთი, განა ასი?! — ზოგის სიტყვა უფასოა, ზოგისას კი არ აქვს ფასი! რა ყოფილა გაჭირვება — გზა-კვალს უმეგზუროდ იგნებს, უუშორეს ნათესავსაც გაგაცნობს და გაპოვინებს! გული სტება საგულედან, ერთ ადგილზე რას დადგება?! ანლა უნდა ნემსკავივით მშობელს სიტყვის გადაგდება! „სად ისურვებთ, რომელ განხრით?“ — მზრუნველობას ზოგი იჩენს, ფაკულტეტებს, როგორც მწვანის, იქვე, ცხვირწინ გადავირჩევს!..


უკანასკნელ მანეთს, კაპიკს, სად და როგორ, აღარც ახსოვს, — ვით ქსელს თავის მისაქსელში, საგამოცდო ხარჯად აქსოვს!.. უულაპია ჭორის აბი დოყლაპიას — სიტყვის მიმზღობს და არ იცის, ჯიბემრუდი მალემრწმენსაც რომ არ ინდობს! იქარგება, როგორც უწინ, საგამოცდო იდილია, ის თუ თავით ყელყელაობს ეს, შეხედავ, უნდილია! ბევრი მისდევს მოწოდებას, გეზიცა აქვს, გზასაც ხედავს, ზოგისთვის კი სულ ერთია, ოღონდ დიპლომს მოახტეს და... ოცი წელი ექიმობის სურვილი ვერ გააცია, რა ხელობის ნიჭიც ჰქონდა, გზა-გზა ისიც გააქცია. „იღუპება!“ — გაისად ხომ დედისერთას ჯარი უწევს?! პასპორტიან შვილს (როგორც ჩვილს) აკვანს ბევრი ახლაც ურწევს!..

ოღონდ „გარეთ“ არ დაურჩეთ, ოღონდ იმან არ იდარდოს, ოღონდ თავი შეყოს სადმე, ოღონდ რამე გაინაღდოს!.. როდი ესმით: ერის ტვირთი საერთოა, საერთა, უღელს განა ნაკლებად სწევს, ვინც ვერ „მოხვდა“,

„გარეთ“ როა? ან, დავუშვათ, გაგვიმართლა, ყველა უმაღლესში მოვხვდით, ასე, არა მარტო სოფელს, ქალაქსაც კი სულს ამოვხვდით! ყავლი გასდის ყველა მოდას, — იქოლება ბოლოს ხვრელი, ამ ქვეყანას ვინ აშენებს, თუ არ დაკოურილი ხელი?! საქმეს სიტყვით ნუ აუქმევ, — დადექ, მკლავი მოაგებე! საპატიო იყავ, თორემ, პატივს ყველგან მოგაგებენ! გადახედე დედულს, მამულს — აქეთ ჩარხს და იქით ყანას, თუ არ „მოხვდი“, უნდა მიხვდე — შეეწევი რით ქვეყანას!..

● ერთსაც ვეტყვი: უნდა დარჩეს კაცი — კაცად, გული — გულად, არჩარიცხვას — დროებით მარცხს — ნუ განიცდი ტრაგიკულად!

ზაზა ქაციაშვილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

ქართული
ლიტერატურა

— რატომ ხმას არ იღებთ?
— ისეთი რა უნდა ვითხრათ, პატივცემულო, თქვენ რომ არ იცოდეთ?!

უარყოფები

ქ ა რ ა ბ მ ე ბ ი

- **გამომცდელს** ჯერ თავს აბრალებდა, მერე — უსამართლობას.
- **პროტექტორს** ჰკითხეს, როგორი აბიტურიენტი გირჩევიანო და — ჭკუათხელი და ჯიბესქელი.
- **ყველას** აწუხებდა, რადგან თავის შეწუხება არ სურდა.
- **ყველა** შეკითხვაზე უარყოფით პასუხს იძლეოდა და მაინც დადებით შეფასებას მოითხოვდა.

გამომცდილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

— სოკრატე?! თქვენზე, მგონი, ვილაცამ დამირეკა და ველარ მოვიგონე!

პახეთში ხმა დაირხა: რა ცოდნა, რი ცოდნა, ინსტიტუტში უფულოდ არავის იღებენო.

არა, ხმა თავისით არ დარხებულა და თავიდან, როგორც სხვა ჭორსა და ხმას, ამასაც ჰყავდა ავტორი. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ავტორს ჩრდილში ყოფნა ერჩია. ერჩია და იყო კიდევ გარკვეულ დრომდე, სანამ...

მაგრამ დავიწყოთ თავიდან.

ცხოვრების მიერ დადგმულ ამ სპექტაკლში როლები ასე განაწილდება: მოქმედი პირნი (თაღლითები) და მიმცემი პირნი (ლღავები). უნდა ითქვას, რომ ამ პერსონაჟებს ერთნაირი დატვირთვა როდი აქვთ. პირველები (თაღლითები) ფიქრობენ. იღვწიან, ეძიებენ და... პოუბენ — ჯიბებს ისქელებენ. ასე რომ, ნამდვილად „მოქმედი პირები“ გახლავან. მეორენი (ლღავები) არც ფიქრობენ, არც აზროვნებენ, არც მეცადინეობენ, ისინი მხოლოდ ფულს იძლევიან, თანაც იმდენს, რამდენსაც თაღლითები ითხოვენ!.. არავითარი შეპასუხება, არავითარი გარანტიის მოთხოვნა. მხოლოდ „პატიოსან სიტყვაზე“ ნდობა. ბედის ირონია მეტი რა გინდათ: პატიოსანი სიტყვა უპატიოსნო თამაშში!..

შორიდან რომ შეხედო, იფიქრებ: კაცი თავისთვის ზის ზღვის ნაპირზე, ანკესი გადაუგდია და არხეინად იცდის. პირდაფჩენილი ღღავები კი კისრისტეხით გამორბიან, არა მე წამოვეგო ანკესზე და არა — მეო! კაცი არც ეზრთს არ წყვეტს გულს. რიგრიგობით ამოჰყავს ღღავე, საფუძვლიანად „გაასუფთავენს“ და ისევ მღვრიე წყალში მოისერის. თან გულში იცინის: თუ გაცურავ, ჩემო იმანო, ხომ კარგი, თუ არადა... გზაც იქით გქონიაო! ღღავები კი მაინც მოდიან!..

ახლა კი უფრო კონკრეტულად მოქმედ პირებზე:

მარინე მარბეზაძე, დაბადებული საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში, ორი შვილის დედა, და მისი თანამეცხედრე **გივი პაპინოვი**, მამია **თავაღვიშვილი** — ფიზიკოსი, **ელენე ჯაბაშვილი** — 80 წლის მანდილოსანი (პროფესიით საბავშვო ბაღის აღმზრდელი გახლდათ).

აი ჯგუფი, რომელიც კარგად აწყობილი სისტემით აბიტურიენტებსა



ანუ

ნამდვილი ამაგი ნამდვილი სახელეებითა და გვარებით

ტ რ ა გ ი კ ო მ ე დ ი ა 4 ფ ე ლ ე - ტ ო ნ ა დ , რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ა ნ ა შ ა შ ო ლ ე - ბ რ ი ვ მ ო ქ მ ე დ ა ბ ა დ , დ ა კ ა ბ ი მ რ ა - ბ ა დ , გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა დ , თ ა ვ ი ს უ ფ - ლ ე ბ ა ს ა ღ კ ვ ე თ ა დ , თ ა ვ ი ს მ ო ზ - რ ა დ დ ა თ ა ვ ლ ა ფ დ ა ს ხ მ ა დ !..

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი :

თ ა ლ ლ ი თ ე ბ ი — უ მ ა ლ ლ ე ს - უ რ ი მ ო მ ა რ ო ბ ი გ ა ი მ ა რ ა გ ა მ ო მ - კ ა ლ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ს ა მ ო ს ჩ ა მ ა რ ო ბ ი გ ა მ ა ნ ი ლ ი ს ა მ ო ს ნ ე ბ ი .

ღ ლ ა ვ ე ბ ი — ბ ი თ უ რ ი ა ბ ი - ტ შ რ ი ნ ე ბ ა ბ ი , მ ა თ ი ღ ო ყ ლ ა კ ი ა მ ო რ ო ლ ე ბ ი დ ა ნ ა თ ე ს ა ვ ე ბ ი .

და მათ მშობლებს დიდძალი რაოდენობით ართმევდა ქრთამს, ვითომცდა უმალღეს სასწავლებელში მოსაწყობად. მათ „ასისტენტად“, ანუ ღღავების მოსაქებნად და მათთან „პროფილაქტიკური მუშაობის“ ჩასატარებლად აიყვანეს **ლალი მკრივიშვილი**, რომელსაც თითოეული აბიტურიენტისაგან ოპერაციის დამთავრების შემდეგ (ე. ი. შემთხვევით აბიტურიენტი თუ თავისი ცოდნით ჩაირიცხებოდა) უნდა რგებოდა მოკრძალებული თანხა — 1.000 მანეთი (ეს თანხა 16 აბიტურიენტზე გამრავლებული, რამდენს მოგვცემდა? დიახ, სწორია: **16 და სამი ნული**).

ჯგუფის მიერ შემუშავებული ნიხარი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების მიხედვით ასე გამოიყურებოდა: უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩასარიცხად ითხოვნენ 10 ათას მანეთს, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ბიოსაინჟინრო ფაკულტეტზე — 12 ათასს, სამედიცინო ტექნიკუმში — 4 ათას მანეთს, პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიკ-ბიოლოგიის ფაკულტეტზე — 8 ათას მანეთს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო მედიორა-

ციის ფაკულტეტზე — 12 ათას მანეთს, ამავე ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — 25 ათას მანეთს და ა. შ.

საერთოდ კი — იმ ერთ სეზონში ღღავეებს გამოსძალეს 128 ათასი მანეთი!

ქრთამის გზით ინსტიტუტში მოხვედრის მსურველები **ლალი მკრივიშვილი**მ ძირითადად თავის სოფლებსა და ნათესავებში იბოვა. **მარინე მარბეზაძე** კი ინსტიტუტში ღვიძლი დის მოსაწყობად საკუთარ მამას 5 ათასი მანეთი გამოართვა!..

გაგიკვირდა, მკითხველო, არა? კაცი რომ სინდისზე ხელს აიღებს, იმისგან რაიმე არის გასაკვირი?

საქმე, რასაკვირველია, სქელ ტომებად არის აყინებული და მის დეტალებში წვდომით ვერ გადაგლით. ისე კი მოგახსენებთ, რომ იგი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო.

პირველივე ამოცდაზე ღღავები ჩაიჭრნენ.

ატყდა ერთი გნიასი და ვაი-უშველებელი, მაგრამ, როგორც ანდერსენის გმირი ამბობს: „**საქმე წახდა, ახლა მიდი, ახლა მიდი და იხტუნე!**“ სასამართლომ თავისი მართებული სიტყვა თქვა. თაღლითები მკაცრად დაისაჯნენ. მსჯავრდადებულებს, თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, მიესაჯათ 86.900 მანეთის გადახდა **სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ**.

ღღავებმა კი კარგი ჭკუის სასწავლო გაკვეთილი მიიღეს.

აბო, მკითხველი იკითხავს, თუ ყველაფერი რიგზეა, რალზე გვიამბეთ ეს ამბავიო.

რატომ, ჩემო კარგო იმანო, და იცი, რამდენი პირდაფჩენილი ღღავე, ან პოტენციური ღღავე დაძრწის და წამოსავებ ანკესს ეძებს მიუხედავად ყველაფრისა? თანაც ამ „ალოობის“ დროს. იცი, რამდენი თაღლითი ზის არხეინად ანკესით ხელში და თავის არჩევ ღღავს ელოდება?

ბოდა, „აჰა, ინიშნე ნიშანი“, იქნება გარგოს რაიმე ამ მართალმა, სატირალ-სასაცილო ამბავმა, ჰა?!.

(ფელეტონი მეორე ნი. მე-7 გვ.)

ჩამჭრის? არ ჩამჭრის? — საკითხავი, აი, ეს არის! სულდიდ ქმნილებას ვით შეჰფერის, მოვიქცეთ ისე (აბა, მანქანას ხომ ვერ მოსთხოვ დიდსულოვნებას?) თუ ჩავერიცხე, სიზარმაცეს დავეთხოვები, ჩამოვცილდები ხელმოცარულთ, რომელნიც ქალაქს თავს აფარებენ უსაქმურნი, გზაბნეულნი!.. ყველა ლექციას დავესწრები, თანაც მოვუსმენ, წიგნს ჩავეუჯდები, მოვამზადებ საგნებს ბეჯითად; სხვისი ნახაზით ან „შპარგალით“ არ ვისარგებლებ; სამიანისთვის არავის არ დავეღრიჯებ; არ დავაკლდები წამოწყებებს ახალგაზრდობის; დიპლომს დავიცავ, — ქვეყანაზე კაცი ვიქნები. თუ ჩავიჭერი, რად მივიცე მელანქოლიას, — ინტელიგენტის მოწოდება თუ არ მქონია?! ისიც კარგია, არ ვიქნები ზოგიერთივით ვაი-სტუდენტი, „შატალოზი“ რომ დაყიალებს, ატყუებს ლექტორს, თავს და მშობლებს! ყმაწვილკაცობას უაზროდ სწირავს, ცუდთ მიბაძვით, „ნაშას“, ავ „ნაშას“. ქვეყნის ბურჯია მუშაკაცი — ქვეყანამ იცის (თუმცა ზოგ-ზოგი სხვა გზას არჩევს თავის შვილისთვის). მიწას ვეძმობი, ვასახელებ შრომით მარჯვენას, მშობლებს მივხედავ, თვით ვავხდები მშობელი დროზე, აღვეზრდი შვილებს მამულს ჩემსას! თუკი დამჭირდა, ჩავერიცხები უმაღლესშიც დაუსწრებულზე, თუმცა ისედაც ქვეყანაზე კაცი ვიქნები!

ნამელატ პრინციპულაკი

ნახ. ზ. ლომიძისა



— რა ჰქენი?
— ჩამჭრეს, ინკუბატორული ცოდნა ვაქვსო!



დაშვებულია დამხმარე სასაუბროდ უმაღლეს სასწავლებლებში მისალაგი გა მოსდებით დანიტარესებულ სხვა პირთათვის

11 მარტი

— არ ვერევი ასეთ საქმეში! არ დაიჯერებთ, ზაფხულობით თბილისიდან გავრბივარ! არ შემიძლია, ვერ დაგენმარებით! რას ჰქვია თავს მოიკლავთ?! ასე თუ იკა-ლით თავი, სად წახვალთ, ჩემო პატრონო! გითანაგრძნობთ, რაც შემიძლია! ვეცდები რაძეს, დაპირებით ვერაფერს დაგპირდებით!..

27 აპრილი

— მახსოვხართ, როგორ არ მახსოვხართ! ხომ გითხა-რით, ვერ შევძლებ-მეთქი?! ჯერ ერთი, არავინ იცის, წელს რა სიტუაცია იქნება! ვიქნებით გამოცდებზე, არ ვიქნებით?! ხშირად ვიცვლებით, მოგეხსენებათ! რას ჰქვია თავს მოიკლავთ, ეგ რა საკადრისია?!

19 მაისი

— რა საჭირო იყო, რატომ შეწუხდით!.. მე ვაუჟაცი კაცი ვარ, ხომ ვერ მოგატყუებთ?! რისი გარანტია, რა გარანტია?! როგორ გეკადრებათ!.. ლატარიით თამაშს ჰგავს ეგ საქმე — თუ გაგიმართლათ, ხომ კარგი, თუ არა-და, მე ნურაფერს დამაბრალებთ! თავის მოკვლით რა შეიცვლება, თორემ კი!..

20 ივნისი

— ჯერ გარკვეული არ არის! გასაიდუმლოებულია ყველაფერი! მარტო თავგჯდომარეები დაამტკიცეს. ვნა-ხოთ! ვეცდები! იმეცადინოს, რაც შეუძლია, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული! რას ჰქვია თავს მოიკლავთ?! მე რატომ მითანხმებთ?! თავის მოკვლა თქვენი პირადი საქმეა!..

31 ივლისი

— მეტი ზომების მიღება აღარ შეიძლება! მადლობა ღმერთს, თქვენ თვითონ ნახეთ ყველაფერი! მე დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ ვნახოთ! იყოს, იყოს, თქვენ-თან იყოს!.. მთავარია, საქმე გაკეთდეს და ჩვენ ერთმა-ნეთს ვალში არ დავრჩებით! არ გინდათ ეგ ლაპარაკი! თავს ვერავინ მოიკლავს!..

9 აგვისტო

— ხმას ნუ უწევ და შენი ყვირილის არავის ეშინია აქ! მე არ მინდოდა?! როგორ ფიქრობ, არ მინდოდა გა-მოსულიყო?! ვერ იპოვეს ნაწერი!.. სიტუაცია შეიქმნა ასეთი!.. შეგიჭამე რამე?! ჰოდა, ხმას ნუ უწევ, თუ კაცი ხარ! შენზე ნაკლებ არ ვიცი მილიციის გზა და ვის მო-კიდებენ პირველად ხელს, იმასაც ვნახავთ!..

თუ სწავლა გასურს, გამოცდებისათვის ემზადე!

ეს სიტყვები ზოგისათვის სიბრძნეა, ზოგისათვის — უბრალო ფორმულირება. **სურენ კნიაზიანისათვის** კი არც სიბრძნე აღმოჩნდა და არც ფორმულირება. ფული და მოქმედება! — აი რა არის მთავარი, თქვა სურენმა და კანონიერების მთავარი გზიდან, თავისი მოკლე ჭკუით, მოკლეზე გადაუხვია. პროტექტორის ძებნა დიდხანს არ დასჭირვებია — **ნინო ვასილის ასული კვლივიძე** დროულად მოვევლინა კნიაზიანების ოჯახს „მშველელად“!..

სურენმა და მისმა მეუღლემ ოფელიამ იგი დანახვისთანავე რაფაელის „მადონად“ აღიქვეს (რა იცოდნენ, თუ პასპორტში ნინო ერქვა, თორემ „წმინდა ნინოდ“ მონათლავდნენ!). სამწუხაროდ, ნინო ქვლივიძე არ აღმოჩნდა არც „მადონა ღრუბლებში“, არც „მადონა მწვეანებზე“ და არც „მადონა თევზით“. იგი აღმოჩნდა ის, რაც სინამდვილეში იყო — ნინო ქვლივიძე ანკესით!..

ამბობენ, სულაც არ არის აუცილებელი, თევზი იყო, რომ ანკესი გადმოგივდონო! იმასაც ამბობენ, ძროხას მარილი ატყუებს, ადამიანს — ენაო! არავინ იცის, ნინო ქვლივიძის ანკესზე (ერუ დაპირებებზე) წამოგებული სურენი მერამდენე მშობელი იყო, მაგრამ რიგიანად კი მოტყუვდა!..

ნინო ქვლივიძემ ლამაზი სიტყვების კორიანტელში გახვია **სვეტლანა კნიაზიანის** მშობლები და თავი თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის ლექტორად გაახალა.. ბედმა გაუღიმა სვეტლანა კნიაზიანს — მას ხომ უცხო ენათა ინსტიტუტში მოწყობა სინამდვილად ჰქონდა ქცეული! „კომისიის წევრებისათვის“ მისაცემ ფულზეც შეთანხმდნენ. ბევრი არაფერი — **10.000 მანეთი**!

ჩაიჯიბა ეს თანხა ცრუ ლექტორმა და განაგრძო თავისი სიცრუის მიხვეულ-მოხვეული ბილიკით სიარული. ბევრი იარა თუ ცოტა, ჯერ ნათელა სიმონის ასულ ხორხელს მიადგა კარზე და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე მოწყობა შეჰპირდა, რისთვისაც წინასწარ **4.500 მანეთი** დასცინცლა! შემდეგ **ლალი შოთას ასულ ბაინაშვილი**ს გააცნო თავი ლექტორად და იმასაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მოწყობა წინასწარ მიუღო



მოქმედება მეორე

ცა! თან ამ საქმეს **10.000 მანეთი** უნდა, კომისიის წევრებისათვის მისაცემად, მართალია, ჩემიანები არიან, მაგრამ ახლა ფული ვის არ სჭირდებაო! ანკესზე ლალის მამა — შოთა წამოვეგო.

ამასობაში გამოცდებიც დაიწყო. აღმოჩნდა, რომ იმ წელს აგროქიმიურ ფაკულტეტზე საერთოდ არ იყო მიღება, ხოლო ნათელა ხორხელი და სვეტლანა კნიაზიანი პირველივე გამოცდაზე ჩაიჭრნენ!..

ბედი უნდა ყველაფერს!

წყლიდან ჰაერში ამოყვანილი თევზებივით აფართხალდნენ მოტყუებულის დოკლამა მშობლები, მაგრამ ლაყურებში ისე მაგრად ჰქონდათ გაყრილი ანკესი, რომ ხორხელმა **4.500 მანეთიდან ნახევარი ძლივს დაიბრუნა**, ხოლო თავისი **10.000 მანეთის წამოსაღებად** მისული სურენ კნიაზიანი ნინო ქვლივიძის ლამაზი და საქმიანი სიტყვების ბადეში გაება, მისი აქტიური თანამოსაქმე გახდა და ერთად შეტოპეს უწმინდურების მორევში.. ამღვრევდა და ამღვრევდა მერე წყალს სურენ კნიაზიანი, რაც შეეძლო, ნინო ქვლივიძე კი იჭერდა და იჭერდა ღლავებს!..

თევზაობაც ამას ჰქვია! მიუქარავს ყველა მეთევზის სასროლ და მოსასმელ ბადეს!

ნინო კვლივიძე და **სურენ კნიაზიანმა** ანკესზე წამოაგეს და ფულები წავლიჯეს დოკლამა აბიტურიენტებისა და მათი მშობლების მთელ გუნდს: **გალელ ბია უოლბანის**, **ონელ ბადრი ჯალაქის**, **სილნაელ ბივი ვარდიშვილის**, **საგარეჯოელ მარბალიტა როჭიკაშვილის**, **საჩხერელ მადეა აბრამიშვილის**, **მცხეთელ ალექსანდრე ზურაბიშვილის**, **თბილისელებს: ვასილ დემეტრაშვილს**, **მანველიტა ჩხიკვიშვილს**, **გონია მამულაშვილს**, **კონსტანტინე ჩადულიბატისს**...

ქვლივიძე და კნიაზიანი იმდენად კეთილი ხასიათისა იყვნენ, რომ ვარ-

და აბიტურიენტებისა, ის სტუდენტებიც ებრალებოდნენ, რომლებიც უნდა იყვნენ გარიცხულნი და უსწავლელნი უნდა დარჩენილიყვნენ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტიდან გარიცხული **შალიძე უოლბანი** ისე „შეიცოდეს“, რომ აღნიშნულ ფაკულტეტზე აღსადგენად მხოლოდ **5.000 მანეთი** მოსთხოვეს, ისიც „უნივერსიტეტის თანამდებობის პირებისათვის“ მისაცემად!.. მაგრამ ფელიქსის მამა — ალექსანდრე ალექსანდრე მაკედონელივით დატრიალდა, იშიშვლა ხმალი და ანგელოზები დაუფეთა თაღლითებად შეცნობილ ადამიანებს!..

სხვებიც რომ ასე მოქცეულიყვნენ, დაგვეთანხმებით, **ნინო კვლივიძე** თავის ამფსონთან ერთად, სულ რაღაც სამი წლის განმავლობაში ცამეტ დოკლამას ვერ გამოხატუებდა **100.900 მანეთს**!..

მაგრამ ხმელეთზე თევზაობა არ აღმოჩნდა ფეხბედნიერი!

ბრაკონიერები დაიჭირეს!

მოლით, შთამომავლობას ნუ დაგუქარგავთ მათ ვინაობას და გავაცნოთ ისინი „ნიანგის“ მკითხველებსაც:


ნინო ვასილის ასული კვლივიძე — დაბადებული **1942 წელს**, საგარეჯოელი, უმაღლესი განათლებით, გაუთხოვარი, უმუშევარი. კარგად იცოდა, რომ ალალი შრომით ნაშოვნ ცოტა ფული სჯობდა არმად ნაშოვნ ზევრ ფულს, წესრიგი — უწესრიგობას, საგარეჯოში ჩაწერილად ცხოვრება — თბილისში, ხორავას ქ. № 7 სახლში ჩაუწერლად ცხოვრებას (ვინმე ალექსანდრე დოგუზაშვილის ბინაში).

სურენ არამის ძე კნიაზიანი — არამი ლუკმის მოყვარული, გარეგნულად — მართლაც „კნიაზი“ (რითაც ამღვრეულ წყალში იოლად იტყუებდა ანკესზე სწავლის იოლად გაგრძელების მოსურნე აბიტურიენტებს და მათ ანკესულამა მშობლებს!), დაიბადა **1935 წელს**, თბილისში, რვაკლასამთავრებული, ცოლშვილიანი, დაბატიმრებამდე ხალისიანად ცხოვრობდა პირველი მაისის ქუჩის № 12 სახლში, უხალისოდ მუშაობდა ქალაქის გამწვანების სადგურში მუშად.

წამწარათ **ნინო კვლივიძეს** და **სურენ კნიაზიანს** მუქათად ნაშოვნი ფულები!

თბილისის საქალაქო სასამართლომ კნიაზიანს — 9, ხოლო კვლივიძეს — **12 წლით** თავისუფლების აღკვეთა მიუხაჯა. დასხდნენ ახლა და ითევზაონ იქ, მშრალზე, უანკესოდ!

(მოქმედება მესამე იხ. მე-11 გვ.)



უსიტყვოდ

კალენდროსკოპი

პროტექციამ თქვა: არა მგონია, ისეთი პროტექტორი მოინახოს, მე რომ უმაღლესში აღმადგინოს!

ცოდნამ წაიმღერა: მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩიო!..

ქრთამმა დაიჩივლა: ბევრჯერ ჩავეჭერი და ახლა უნივერსიტეტ-ინსტიტუტებში სათოფეზე არ მიკარებენო!

- რეპეტიტორი თუ ამზადებდა ამ ახალგაზრდას?
- კი, მხოლოდ რეპეტიტორები!
- რეპეტიტორები რა უბედურებაა?
- ეგაა რეპეტიტორი, რომელიც ჩაჭრილ აბიტურიენტს მეორეჯერ ამზადებს.

- მესამეჯერ გავედი და ვერ ჩავაბარე!..
- სად დაავროვე ამდენი ცოდნა, სამი წლის განმავლობაში რომ ვერ ჩააბარე?

- რა ქენი, მოაწყვე შვილი უმაღლესში?
- რას ამბობ, კაცო, საქმე ისეა მოწყობილი, მოწყობა-ჩაწყობა გამორიცხულია!

— რამ მოგიზიდათ, ჩვენს ინსტიტუტში რომ გადაწყვიტეთ შემოსვლა?

- სიახლოვემ...
- სიახლოვემ?
- დიახ, მე აქვე ვცხოვრობ, ამავე ქუჩაზე!

- თელო, შენმა შვილმა ჩააბარა?
- ჰქონდა, რო?..

გიგლა ბახტაძე

მიეყუთ მყოდნეებს გმა ფართო!

ეროვნული
კინოლიბრეტიკა

დადგა აგვისტო — ცოდვილთა
ათასმეერთე ცთუნებით,
დაგროვებული ცოდნით და
დაგროვებული ფულებით!..

თან მოიტანა ციება,
როგორც კი დადგა, იმ წამსვე,
პროტექტორების ძიება:
ცაზე,
ზღვაზე და
მიწაზე!..

ზოგი წყალს ადენს ქვიდანაც,
მერე წყალს აქცევს კოცონად!..
დასჭირდეს, კოსმოსიდანაც
დაარეკვინებს კოსმონავტს!..

ზოგი მშობელი ისეთი
არის, — ქვესკნელშიც მოგებნის,
ნამდვილი ეშმაკის ფეხი —
გამცემი ქრთამ-საბოძვრების!..

ნამუსის განკარგულებით
უნდა გაუწყოთ მართალი:
გულშემატკივარ გულების
მხრივ ქვეყნად არ გვყავს ბადალი!

გამოცდების დროს გუნდ-გუნდად
დგანან, ბჭობენ და არჩევენ!..
შვილიშვილთან სურს — შინ თვით კუბ
ბებიას ვერ გააჩერებ!

აბიტურიენტს ამაღლა
ზოგჯერ იმხელა ახლავს თან,
მეფე ერეკლეს კრწანისში
იმდენი ჯარი არ ჰყავდა!..

ცარიელდება სოფელი,
ცარიელდება ქალაქი,
მეზიგე,
მწყემსი,
მოფერი,
მასწავლებელი, დალაქი —
ტოვებენ ათას საზრუნავს
და შვილებს „მხარში უდგანან“,
ვინც ვინც ზღვებად დაძრულან,
ვინც ვინც რბის, ვინც კი — უკანა!..
ვაი-გამომცდელთ! — ადრევე
შეპირდებიან ქარვასლებს,
რომ ადგილები წაართვან
მცოდნე, ღირსეულ ქალ-ვაჟებს!..
ვადირსოთ წელში გამართვა, —
რომ მოვლუნეთ და მოვმშვილდეთ! —
საქართველოში სამართალს
პური არ უნდა მოშვიდეს!

ტაბუ მეზურიშვილი

ესა სამართალი!

ნოველა

— ერთი წუთით, ქალიშვილო! რომელ ფაქულტეტზე აბარებ? რომელი ჯგუფიდან ხარ? რა მიიღე? უი, შენ, გენაცვალე! ჩაჭრილა, პლატონ, ჩაჭრილა! ჩვენი გოგოს ჯგუფიდანაა! ნუ ტირი, შვილო, კარგი გოგო ჩანხარ, მომავალი წინა გაქვს, ნუ შეშინდები, ცხოვრება ბრძოლაა, ხომ იცი! მრავალ შენისთანას უნდა აჯობო ცოდნით, რომ... აჰ, მაგას ნუ იტყვი, ცილს ნუ დასწამებ პატიოსან ხალხს! ვის რა ინტერესი ჰქონდა შენი?! გამოცდები ობიექტურად მიდის... კაცო, რას გაშეშებულხარ, ჩაიწერე, მერამდენე ჩაჭრილი გამოდის! ეს სულ ჩვენსას აკლდება კონკურენტი, ხომ იცი!

— ერთი წუთით, შვილო! რომელი ფაქულტეტია, რომელი ჯგუფი, რა მიიღე, ახალგაზრდავ? „ხუთიანი“? რა ამბავია, ვითომ პანტასკავით რომ არიგებენ ამ „ხუთიანებს“? აღარ დამთავრდა ეს პროტექციობანა?! არაფერი არ შეგშლია? კია ახლა, ნუ მაცინებ! უნახე, პლატონ, საგამოდო, ვინ აწერს ხელს ამ „ხუთიანებს“, ვიცოდეთ ერთი, ვინ გვლუპავს!

— ნახე, პლატონ, ტირის, ესეც ტირის... ვენაცვალე! ეცი ერთი მაგ საცოდავს, გაიგე რა სდება, ჩაჭრილა?! რაო, შვილო, მკაცრები არიან? აჰ, არა, მაგის გაფიქრებაც არ შეიძლება! რა ინტერესი აქვთ. „ხუთიანებს“ რომ არიგებენ, მაშინ ხომ არავინ ამბობს მაგას?! რა ქერი, პლატონ, ჩაიწერე? მერამდენეა საწყალი? როგორ განიცდის, გული არ წაუვიდეს, მე შენ გეტყვი, სამედიცინო პუნქტია აქვე და მაშინვე მოგხვდები... საერთოდ, არ შემიძლია ხმამაღლა არ განვაცხადო, რომ მისაღები გამოცდების დროს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში არავითარი „კეთილმოწყობის“ პირობები არ არის! მაგალითად, ასეთი მშვენიერი მაღლივი კორპუსები ააშენა უნივერსიტეტმა და ეუზოში კი აბიტურიენტთა მშობლებისათვის ერთი სკამიც არ დაუდგამთ, საგრილობებსა და საჩრდილობებს რომ თავი გავანებოთ! არადა, თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, რა მცხუნვარე მზე იცის აგვისტოს თბილისმა. გამოცდების შემდეგ სულ იმას მეკითხებიან, სად დაისვენე, ვერე რომ გაშავებულხარო?! ისე ჩემმა მტერმა დაისვენა, ამ ნერვულობას თუ დასვენება ჰქვია, ამასაც ვიკითხავ! მაგრამ ერთი კია, წონაში საკმაოდ დავიკელი. სხვები რომ შიმშილობენ და ქულებიან დიეტას იცავენ გასახლმოდ, მე, რამდენი ჩემს გოგოს ქულა დააკლდება, იმდენი კილოგრამი მაკლდება და ახლა საკმაოდ კონტად გამოვიყურები, სადღაა ის ფაშვი?! ის კი არა, ჩემმა პლატონმაც უმძიმესი წონიდან უმჩატესში გადაინაცვლა. სხვაგან თუ უკეთესად გგონიათ „კეთილმოწყობის“ საქმე, ძალიან ცდებით, ყველა უმაღლესში ასეა, ყველა ეუზოში ვარ ნამყოფი, ყველგან აბარებდა ჩემი შვილი და ვიცი. არადა, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვინდა კომფორტი — დასვენება, წამოწოლა, ჭამა-სმა. მე მგონი, საგზურებიც კი შეიძლებოდა გაყიდულიყო

უმაღლესის ეზოებში მომლოდინეთათვის. არ გასაღდებოდა, თუ? ამაზე არც ვილაპარაკებდი, ჩვენი მდგომარეობა გავლენას რომ არ ახდენდეს ჩვენი შეილები წარმატებაზე გამოცდების დროს! ჩემმა გოგონამ მითხრა, შარშან იმიტომ ჩავიჭერი, ფანჯრიდან გადმოვიხედე, წვიმის ქვეშ დაგინახე აბუზული და გალუმპულიო! მერე, ვინ გაითვალისწინა ეს? ესაა საქმე?! არიქა, პლატონ, ვინაა ის, ტირის თუ კისკისებს, დამიზუსტე! „სამიანი“? მერე, სასაცილოდ აქვს საქმე? მაგას ხომ ფრიადონის ატესტატაც ვერ უშველის, რომც ჰქონდეს?!
 არა, ბედი არ უნდა ყველაფერს?! რაღა ახლა მოუნდათ რეფორმა?! რა სისხლი ჩავაქციეთ, ოჯახი გავაპარტახეთ, რომ მაღალი ნიშნები გამოგვეტანა სკოლიდან და ახლა გააუქმეს?! არ ჩაგვეყარა წყალში ყველაფერი?! ახლა ნულიდან უნდა დავიწყეთ და ერთნაირი შანსი უნდა ჰქონდეს ჩემს შვილსაც და იმასაც, ხელი რომ არ გაუნძრევია ნიშნისათვის?! ესაა სამართალი!

— პლატონ, რომ დამუნჯებულხარ, მიდი

და იმ ატირებულ ბავშვებს ჰკითხე, ვინაა ასე უღმერთოდ რომ გყრით გარეთ-თქო?! ვინაო? მჭედელაძეო? აბა, კაცი ეგ! ყოფილა, თორემ „ხუთიანებს“ რომ ფანტავს! კაცნაყო, ვილაც, უპასუხისმგებლო, მაგის იმედად ჩემი მტერი იქნა! მიდი, მიდი, მჭედელაძე, დასცხე, არ გააჭაჭანო უვიცი და უქნარა უმაღლესში! პლატონ, შენ ვისთან ჩაწყვე, რატომ არ მეუბნები? კაკანაძესთან?! დამლუპე, კაცო?! ან მჭედელაძესთან არაა ჩაწყობილი?! ხომ სედავ, რა დღეშია, კაკანაძის ჩაჭრილი არავის გაუგონია! რაო, ესეც გაფრთხილებულია?! თვითონ კაკანაძემ გააფრთხილა შენს თვალწინ?! ყოჩაღ, შე უშნო, აღარაფერი გვიჭირს!

— ავშენდით. პლატონ, ვილაც მოდის კიდევ ტირილით... შეხედე, კიბის თაშუა! რაო?! ჩვენია?! დიდუ! რა მოხდა, გოგო, არ იტყვი? სადაა საგამოდო, ვინ დაგვლუპა, ვინ?! კაკანაძემ ჩაგჭრა?! პლატონ, გესმის! აღარ გინდა სახლში მოსვლა?! გულმავიწყიაო?! გულმავიწყი კი არა, მტერი ყოფილა და მაგის იმედზე ჩერდებოდი?! სხვა გააფრთხილა და თვითონ ჩაჭრა?! რა დაგემატა, გოგო, გამოლენჩიდი?! რა ვითხრა, რაო?! დროს ნუ აცდენო?! ვაი, მაგის პატრონს, ოთხი რეპეტიტორით ნასწავლ შვილს ეუბნებიან მაგას?! სულ მართალი ყოფილა, რასაც ამბობენ მაგათზე, რის ობიექტურობა! კაი, კაცო! ოჰ, პლატონ, მაგათ ხომ მივწვდები და მივწვდები, არ შევარჩენ ჩემს ასე გაცურებას და შენ როგორ შემოგვამ ფეხს სახლში, იმასაც ვნახავ...

ირაკლი ყიფიანი

ნახ. ლალი ზამბახიძისა



— ქალო, რა გატირებს, თბილისში მიდის სასწავლებლად, ფრონტზე ხომ არა?!
 — ფრონტიდან დაბრუნებული ბევრი მინახავს, მაგრამ სოფელში დაბრუნებული უმაღლესდამთავრებული კი — არა!

ახლა, როცა კარს მოგვადგა მისაღები გამოცდები, ისეთ რამეს გაიგონებ, გაკვირდები, გაცდები. დრო დაუდგათ მოლაყებებს, ჭკორიკებს და

ლაზღანდარებს... (ზოგიერთს რომ მოუსმინო, ალბათ, შეგშლის და გადაგრცხს):

— „ჩემი შვილი ძალით ჩაჭრეს, რომ უწერდნენ ბოლოს „ფრიაღს“, რომ იცოდეთ, რა ბავშვია, მართლა ჭკუის კოლოფია! ვილაც მაინც უნდა გყავდეს გამოცდებზე მოსყიდული, თუ გინდა, რომ ჩაერიცხო, უნდა გქონდეს ტომრით ფული!“

— „მე არც სპეციალობას და არც ფაკულტეტს არ დავეძებ, ოღონდ ბიჭი ჩაირიცხოს ჩემს იღბალზე, ალაღბედზე!“

— „მიკვირს სტუდენტი რომ ვახდა ნინო — შვილი ბრიყვი მშობლის! ეს უშნო და დაფეხვილი ჩემს ლუიზას რითი სჯობნის?“

— „ნუ სულელობ, თუ კაცი ხარ, რატომ ყბელობ, რატომ სცოდავ? გამოცდებზე მთავარია მარტო ნიჭი, მარტო ცოდნა!

სხვა, იმ მიმდებ კომისიას, არაფერი ახარია, შენ თუ შვილი უტვინო გყავს, გამოცდელის რა ბრალია?“

— „მე ჩემს მუტრუკს თავს ვეველები, არ მახურავს, არ მაცვია,

ჭკვიანია მამაძაღლი, მაგრამ ცოტა ზარმაცია!.. ახლა, როცა ზაფხულია და სიცხეა გაგანია,

ყველგან მითქმა-მოთქმა, ჭკორი, ლაყბობა და ქაქანია. ყველა ოჯახს ელის ამ დროს საგამოცდლო აგონია,

გამოცდები ვინმეს გულთან არ მიჰქონდეს, არ მგონია! სასწავლებლებს ეზოებში ხალხის ჭგრო ჰყავს დაძაგრული!

მიატოვეს ოჯახები, აღარ ახსოვთ სამსახური!.. დგას სიცხისგან გათანგული დედა, მამა და ბებია...

აქ ისეთი რია-რია და ისეთი ამბებია, რომ არც გინდა დაიჭერო და არც გინდა გაგონება!

ყველა სასწავლებლის ეზო ბრძოლის ველი გეგონება. დღეს რომ ცოდნამ გაიმარჯვოს, ჭეშმარიტად დგას ამინდი,

მაგრამ ზოგ-ზოგს იმედი აქვს პაპის, ბიძის და მამიდის!..

რადგან ახლა სტუდენტობა მოღაშია ნამეტნავად, კაცმა შვილი ვერ მოაწყოს, — დარღით უნდა გახდეს ავად!..

ზოგს ჰგონია, მთავარია ბევრი ფული გქონდეს, თორემ უმაღლესში მოსაწყობად რა გამოლევს პროტექტორებს!..

ზოგი მარტო სხვის ჭინაზე წვალობს, მოსვენებას კარგავს, ოღონდ ვახდეს სტუდენტი და სულ გაყიდის ეზოს, სახლ-კარს!..

გზა გაეხსნათ დემაგოგებს, ვიწრო წრეში არის კრება, დოკლამებებს თაღლითებთან გაუმართავთ გარიგება!..

მოკლედ, აგვაფორიაქა მისაღებმა გამოცდებმა, ჰოდა, ვინ რა ცოდნის არის, გამოცდებზე გამოჩნდება!..

გოგოებო, ჭაბუკებო, გეტყვით, არ მოგერიდებთ: გთხოვთ, იმედი ნუ გექნებათ ბიძების და დედების! არაფერი არ გიშველით (დაიხსომეთ ყველამ კარგად!) საკუთარი თავისა და საკუთარი ცოდნის გარდა!

ვანო ცინცაძე

წინასაგამოცდლო სამზადისი — „ძიების“ ძიების პროტესტი (მოსწავლეების მიერ)

ჩალიჩე აბიტურიენტთათვის. ამანატრები — ძღვენით დატვირთული აბიტურიენტების და მათი მშობლების სირბილი გამომცდელთა კარდაკარ.

ნიშანი — სიმბოლო, რომლითაც ზოგჯერ აბიტურიენტის მომზადების დონე ფასდება, ზოგჯერ — მისი მშობლების.

ნათესაური წრე — გარემოცვის რკალი, რომელიც გამომცდელის ირგვლივ იკვრება გამოცდების პერიოდში.

პროტექციონიზმი — დაავადება, რომელიც ავგისტოს ციებ-ცხელების დროს იჩენს თავს.

უთანასწორო დუელი — უცოდინარი აბიტურიენტის გასვლა ცოდნით შეიარაღებული გამომცდელის პირისპირ.

ნეიტრალიზაციის რეაქცია — „არამკითხე მოამბის“ ჩამოცილება საპროტექციო პირის გამოცდის დროს.

სამშლოვიარო პროტესტი — გამოცდაზე ჩაჭრილი აბიტურიენტის გაცილება ქომავთა თანხლებით.

იმედი — ერთადერთი რამე, რაც გააჩნია ურეპეტიტორო, უსტაუო, უპროტექტორო და უცოდინარ აბიტურიენტს.

შპარგალკომანია — „ცოდნით შეიარაღება“ გამოცდაზე გასვლის წინ.

პროტექტორი — პიროვნება, რომელიც ერთს ესმარება და ასს ლუპავს.

დაღუპული პროტექტორი — ფიგურა, რომელიც პაიკს ეწირება. ფრთხილი გამომცდელი — ვინც ყველას და ყველაფერს გამომცდელად უჩურებს.


ნათესაური სიყვარული — გრძნობა, რომელიც მისაღები გამოცდების დროს ღვივდება და მერე ცხრება.

ჩაჭრილი პროტექტორი — ვინც ქრთამს ჯერ სინდისს სწირავს, მერე — თავს.

რეპეტიტორი — ვინც რეპეტიციას რეპუტაციას სწირავს. სასწრაფო დასმარება — ძლიერი პირის ჩარევა ჩაჭრილი აბიტურიენტის გადასარჩენად.


დუენილი — საგამოცდლო კომისიის წევრი, რომელიც ნაწილობრივ ნათესავებს გაურბის.

ბ. გურიელი



ნახ. დ. პარისტავისა

— ქორწინდებით? — არა, შვილიან დედებს უპირატესობას აძლევენ უმაღლესში და უნდა ვიშვილო!



ახალგაზრდა ქალია ნინო ქურდაძე, ქმარშვილიანი. თბილისში, კომუნისტური შრომის ქუჩის № 27 სახლში ცხოვრობდა. ყოველ ცისმარე დღეს ადრინად ადგებოდა, მეუღლესა და ორ ბავშვს დააპურებდა, მეუღლეს სამსახურში, ხოლო ბავშვებს სკოლაში გაისტუმრებდა, სახლს მიაღებდა და თვითონაც სამსახურისაკენ გაუდგებოდა გზას. სამსახურშიც, სადაც საქმეთა მწარმოებლად მუშაობდა, მუყაითი მუშაის სახელი ჰქონდა, მაგრამ, თურმე...



ნინო ქურდაძის სამუშაო ოთახში ორნი იხსდნენ — თვითონ და კანცელარიის მდივანი **ნინო ბაგაშვილი**.

ფელატონი მესამე

ერთ დღეს კაბინეტის კარები მორიდებით შეაღო შუახნის ქალმა. მან ნინო ბაგაშვილი იკითხა და წერილი გადააწოდა.

— ქალბატონო ნინო, მე ჭიათურიდან ვარ. ჩემი სახელი და გვარია **მადონა ვიქელაძე**. წერილი მაქვს თქვენთან. უნდა დამეხმაროთ. დანარჩენი პატივისცემა კი ჩემზე იყოს, თავს არ შევირცხვენ!

ნინო ბაგაშვილმა გაკვირვებით შეათვალიერა უცნობი ქალი, წერილი გამოართვა და სხამალა წაიკითხა: „**ჭკირფასო ნინო**. ამ ბარათის მომტანი ჩვენი ახლოველი ქალია... მისმა შვილმა წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ვგებ დაეხმაროთ!..“ წერილს ხელს აწერდა ნინო ბაგაშვილის შორეული ნათესავი.

ნინო ბაგაშვილმა წერილის კითხვა დაამთავრა და მადონა მიქელაძეს ღიმილით მიმართა:

— კი მაგრამ, სად მე და სად ინსტიტუტში დახმარების გაწევა?! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით!

უცნობი ქალი შემობრუნდა და კაბინეტიდან გავიდა, ნინო ბაგაშვილმა კი თავისი საქმიანობა განაგრძო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ნინო ქურდაძემ გაფაციცებით უგაბდა ყურს ნინო ბაგაშვილისა და უცნობი ქალის საუბარს. როგორც კი მადონა მიქელაძე კაბინეტიდან გავიდა, რაღაც ქაღალდები აიღო — ხელში, ვითომ საქმეზე მივდივარო, და მადონა მიქელაძეს ქუჩაში დაეწია.

— ქალბატონო, — მიმართა მ. მიქელაძეს, — მე გამოცდილი მაქვს, რა არის შვილის მოწყობა ინსტიტუტში!.. გული დამეწვა, ნინო ბაგაშვილმა უარი რომ გითხრაო, ვერ გენდოთ! მე შემძლია დაგვეხმაროთ!..

— მიშველეთ, თქვენა ჭირიმე, მერედა, როგორი ნიშნები აქვს, თანაც ეშვადებოდა!..

— ხი-ხი-ხი, — ჩაიხიოხიოთა ნ. ქურდაძემ, — შენი ნიშნები და სწავლა ვის რად სჭირდება?!

— რას ლაპარაკობთ, ქალბატონო, როგორ თუ ვის სჭირდება სწავლა?! ჩემს შვილს სულ ხუთები და ოთხები აქვს!..

— ჰოდა, ჩემო კეთილო, თუ ეს ასეა, მიიტანეთ თქვენი შვილის ხუთიანებისა და ოთხიანების ატესტატი და იმ წუთში ჩავირიცხავენ, კი ბატონო!.. კარგად იყავით!..

— არა, კარგად ვერ გამოვიტო, ქალბატონო, — შეცბა მ. მიქელაძე, — ბავშვი კარგად არის მომზადებული, მაგრამ მაინც მინდა ვინმე გავუღწიონ კაცის დამხმარე ხელი!..

ხელცარიელი კი არ ჩამოვსულვარ ჭიათურიდან, საჭირო თანხაც თანა მაქვს!..

— ემ უკვე სხვა საქმეა, სხვა საუბარია! სკვერში შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ, აქ უხერხულია! — გუნება გამოუკეთდა ნ. ქურდაძეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მადონა მიქელაძემ ნინო ქურდაძეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შეიღის მოსაწყობად 1.500 მანეთი გადასცა, დანარჩენ თანხას კი მას შემდეგ მისცემდა, როდესაც „ბავშვი“ ინსტიტუტში ჩაირიცხებოდა.

— ქალბატონო ნინო, თქვენი ჭირიმე, არ მიწყინოთ, კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს!..

— გისმენთ! — წარბები შეიკრა ნ. ქურდაძემ.

— ერთი ახლობელი მყავს, **ჟიჟარ ბაქრაძე**, ჩვენმა შვილებმა ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა და მასაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სურს ჩარიცხვა. მშობლები არაფერზე არ დაიხვეწენ უკან.

— სად არიან ამჟამად?

— ერთად ჩამოვიდით ჭიათურიდან, თუ ნებას მომცემთ, ათ წუთში აქ გავაჩენ!

— კი ბატონო. 15 წუთი იყოს, მხოლოდ გახსოვდეს, ფული წინასწარ უნდა ჩამაბაროს!

მართლაც, ათიოდე წუთში მადონა მიქელაძე დათქმულ ადგილზე იყო. მას თან ახლდა ეთერ ბაქრაძე. ეთერმაც თავისი „გაჭირვება“ გააცნო ნ. ქურდაძეს და, შვილის საბუთებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩასარიცხად 5000 მანეთი გადასცა.

ნ. ქურდაძემ დამიდებული გაისტუმრა ორივენი. ისინიც კმაყოფილნი გაემგზავრნენ ჭიათურაში, მაგრამ დედებს გული შინ არ დაუდგათ, კვლავ თბილისში გამოემგზავრნენ და მოუთმენლად ელოდნენ ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიების გამოკვრას. ეს დღეც დადგა. მადონა მიქელაძე და ეთერ ბაქრაძე, სხვა მშობლებთან ერთად, გაფაციცებით კითხულობდნენ სიებს, მაგრამ „ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო“. მათი შვილების გვარები ჩარიცხულთა სიებში არ აღმოჩნდა!..

— რას გვოშვები, გვლუპავ?! იცოდეთ, ძირიან-პულიანად ამოგავადებთ. ახლავე წამოდი და ბავშვების საქმე მოაგვარე, თორემ!.. — მიუვარდნენ მიქელაძე და ბაქრაძე ქურდაძეს.

— რა იყო, რა დავემართათ, რა დაფეთებულები მელაპარაკებით, როგორ მიტედავთ ასეთი ტონით ლაპარაკს?! ალბათ, რაღაც გაუგებრობა მოხდა ან დამატებით — სიებში არიან ბიჭები შეტანილი. წავიდეთ, ინსტიტუტში რექტორის მოადგილე (ასეთი თანამდებობა მოუნახა მან პრორექტორს) ყველაფერს მეტყვის. აბა, წავედით!..

მართლაც, მადონა მიქელაძე და ეთერ ბაქრაძე მოწმენი გახდნენ იმისა, თუ როგორ თამამად შეაღო ინსტიტუტის პრორექტორის კარი ნინო ქურდაძემ და შიგ შევიდა.

— უჰ, ავაშენა ღმერთმა! შეხედეთ, ქალო, როგორ თამამად შევიდა რექტორის მოადგილის კაბინეტში, ალბათ, კაი ამბავს გამოგვიტანს.

ამ დროს კი ნინო ქურდაძე ინსტიტუტის პრორექტორს ოდნავ აღეგებული ტონით ელაპარაკებოდა: „პატივცემულო, მე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ვარ, სულ ცოტა ხანში თქვენთან დამუშავებული, ესე იგი დანაშაული ფული უნდა შემოიტანონ, ვითომდა ქრთამის სახით. მე თქვენი კეთილსმყოფელი ვარ, სიფხიზლე გამოიჩინეთ!“

პრორექტორი ერთხანს გაკვირვებული უყურებდა ამ ერთი შეხედვით დარბაისელ ქალს და მერე აღფოთებულმა კარებისაკენ მიუთითა...

— რაო, რა გითხრა? — მივარდნენ აღელვებული მადონა და ეთერი ქურდაძეს. იმან კი ნაძალადგვი ღიმილით, ვითომდა უდარდელად მიუგო:

— პანიკორები ხართ, პანიკორები! კინალამ გამალანძღვინეთ ეს პატიოსანი კაცი. ხომ გითხარით, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი-მეთქი, ჰოდა, ასეა! წადით ახლა და ორიოდე დღეში თქვენი შვილები ინსტიტუტში ჩარიცხულთა დამატებით სიებში იქნებიან!

მაგრამ გავიდა ორიოდე და ოთხიოდე დღეც, დამატებითი სიებაც გამოქვეყნდა, მაგრამ მადონა მიქელაძისა და ეთერ ბაქრაძის შვილები არც მათში აღმოჩნდნენ!..

ახლა კი შემოირტყეს თავში ხელი მოტყუებულმა და გაგრუბულმა დედებმა და სადაც ვერ არსს, იქ მიმართეს.

გამოძიებამ **ნინო ქურდაძის** „მოღვაწეობის“ სხვა ფაქტებიც გამოამჟღავნა. კერძოდ, მოქალაქე **ვიოლეტა ჭიტაძის** შეპირდა, ოქტომბრის რაიონში რიგგარეშე მიგაღებინებ ბინასო, რისთვისაც „ბეს“ სახით ვერ 3.500 მანეთი გამოართვა, შემდეგ — 2.000 მანეთი, შემდეგ კიდევ დამატებით დასცინვლა 3.000 მანეთი — სულ 8.500 მანეთი. ქურდაძის აღთქმული ბინა კი ვიოლეტა ჭიტაძემ, რა თქმა უნდა, ვერ მიიღო!

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით თაღლითი **ნინო ქურდაძე** მკაცრად დაისჯა, მაგრამ რა უნდა დავარქვით იმას, რაც მადონა ვიქელაძე, ჟიჟარ ბაქრაძე და ვიოლეტა ჭიტაძე ჩაიდინეს-მართო დოყლაპიობა?!

(ფელატონი მეოთხე ნ. მე-15 გვ.)



ნახ. 3. ლომიძისა

— დანარჩენების იმედი არ გქონდეს, აი, ეს პაპა გიშველის!

ნახ. 8. აბაშიძისა



ყველა — ერთისათვის, ერთი — თავისთვის!

ნახ. 1. კანდელაკისა



უსიტყვოდ

ერთ დღეს საოჯახო თათბირზე ისევ ბიჭის სამ საგანში მომზადების საკითხი დგას. ლევანა (ბიჭის მამა) ადგა და განუცხადებდა: „განუცხადებთ, კაცი გაგიჟდა! აუყვირდა პელომ: „მომზადუნთქე! დაგავიწყდა შენ, მაგის მომზადება რა ფასად დაგვიწდა?!“ რომ გავიპიროვნეთ იმსიგრძე მიწა, მტრისაც სამშური ვენახი რომ გვაქვს, ბიჭი დამიტოვებ, დედაცაც, გეყურება?! მარტო ჩემი მარჯვენის იმედი გექვს?! არ იცი ახლანდელი ბიჭების ამბავი?! წაიყვან და მერე ეგ ქალაქს მოსცილდება?! დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები, ვის გადავცე ამოდენა გამოცდილება?! შენც დაისვენე და მეც დაიხვეწე, პელო! აღარ შემოძლია, ლამის სისხლი ჩამეჭეცხვ ტვიზში.. უშადლებსიო?! შენ ალაზნის ველის სიგრძე და განი ხომ არ გეპატარავება თვალში?!“

მაგრამ პელო რაღა პელო იქნებოდა, რომ ცხრაუღელა ხარის ძალით არ გაეწია, არ ჩაეველო მეორე დღეს ბიჭისთვის ხელი და „ცდა ბედის მონახვის“ მიხედვით დედაქალაქისკენ არ გაეწია. ვაი პელოს თავს! ახლა ბიჭი ატყდა: მე საინჟინრო არ მინდა, საკლუბო საქმისკენ ვისწრაფილი თუ ჩავაბარებ, რაზედაც მინდა, ზომ კარგი, არადა, სხვაზე, თუნდაც მოვხვედ, ვერ ვისწავლი! — რა დაგარჩენია საკლუბოზე, ბიჭო?! — გაცხარდა პელო, — მამაშენმა რომ გაიგოს, ხომ დასაბმელი გახდა?! მაგრამ პელომ ვერაფერი გაიტანა — ბიჭი (პელოს შვილი იყო) თავის სიტყვაზე დადგა. „უშადლებსი, უშადლებსია! რა ვქნა, აირჩიოს თავის ნებაზე, რაც უნდა, მაინც ვერ გადავთქმევინებ მამაილასა!“ — იფიქრა პელომ და გაჩუმდა. ... და გავიდა ბიჭი ბოლო გამოცდაზეც, რომელიც დამთავრდა მეთექვსმეტე დღეს, საათის ორზე. პელო კარებთან მიეგება (ხუმრობის გუნებაზე იყო) და ჰკითხა: „მა, როგორ არის საქმე, ჩაგრიცხავენ საარტისტოზე?“ პელომ გაიგო საქმის საბოლოო ვითარება: რომ ვაჟიკამ, ბევრი იწვალა, თუ ცოტა იწვალა, თურმე მშვენიერი თხზულება დაწერა, მაგრამ ენობრივმა შეცდომებმა იძალა... და, აღელდა პელო: „მიწა დაგაყარე! რისთვის გამოგიგხე კიბე-უბე წვრილად ნაწერებით?! ხელები მქაოდა, თუ მეტი საქმე არა მქონდა?! ვერ გადაიწერე?! თუ გადაწერის შნოც არა გქონდა?! — მე შენი ბავშვი აღარ ვარ, დედი, ახლა ნუ დამიწყებ გზაში კამათს, არ მინდოდა და არ გადავიწერე! — ხმა აიმაღლა ვაჟიკამაც. ... ე. ი. ვერ დააგროვა ვაჟიკამ ქულები და დაბრუნდნენ დედა და შვილი სახლში დამარცხებულები და გულდარჩაგრულები. ახლა კი შეეცოდა ლევანას პელო ფერგამკრთალი და დაუყვავა: „ნუ დარდობ, პელო, ხომ ხედავ, ბიჭს გოგონებისკენ უჭირავს თვალი, დავაქორწინოთ, მოვესწროთ ჩვენც, ვნახოთ მომავალი, გავამრავლოთ პაპაჩემ მიხაკს შთამომავალი!“

როგორ წარმართება ვაჟიკას ბედი? — ლევანას იმედი აქვს, რომ ვაჟიკა დარჩება ოჯახში დედ-მამის გვერდით (მიწამ და ვაწმა სიყვარული იცხეს). ლევანას სჯერა, რომ კულტმუშაკობის წყურვილს მოიკლავს ბიჭი სოფლის კლუბშიც (რა, სიმღერა არ უყვარს, თუ ცეკვა არ იცის). დარაზმოს სოფლის ახალგაზრდობა, თუ ბიჭია! სოფელი დაინახავს, რაიონი დაინახავს, ქვეყანა დაინახავს, თუ საქმის სიყვარული და ნიჭი აქვს. ეს უკვე მის უნარსა და მონღოლებზე ჰკიდია! მაშინ რაიკომი თვითონ გაგზავნის სასწავლებლად, არადა, ალაზნის ველი დიდი!

ღალი მარტაშვილი



ფელეტონი მეოთხე

ისტორია გვასწავლის, რომ ძველ კოლხებს ბერძენისაყენ აშკარად ჰქონდათ ლტოლვა-მიდრეკილება და მისი კვალი, უნდა ითქვას, აქა-იქ დღესაც კი შეიმჩნევა. ყოველ შემთხვევაში, **ბათუმელ ანზორ თურმანიძეს** მექანიკა-ობტიკისაყენ — ელინთა მიწის წიაღში წარმოშობილი ამ სამეცნიერო დარგისაყენ — გული ძალუმად რომ მიუწევდა, ეს ამბავი უცილობელი განსაუბრო.

მოგეხსენებათ, მექანიკა ფიზიკის ის ნაწილია, რომელიც სივრცეში სხეულთა გადანაცვლების კანონებს სწავლობს. ჰოდა, თუკი ასეა, მაშ, ვინ დაძრავებს კაცს, რომელმაც **შვილი ლენინგრადის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლისაყენ** აფრინა? არაფერია ამაში ურიგო. ძნელბედობის უამს ანზორის თაობა ამ ქალაქის კარს მკერდით თუ იცავდა, ვანა უმფოთველ დროს უფლება არა აქვს, ამავე ქალაქის უმაღლესი სასწავლებლის კარი შეაღოს? აქვს! აქვს.

მაგრამ... ო, ეს სიტყვა „მაგრამ“ რამდენ რამეს დააყენებს ხოლმე თავდაყირა! ჰოდა, უმაღლესის კარიც კანონიერი საკონკურსო გამოცდების შედეგად უნდა შეაღოს, თორემ სიტყვა „მაგრამ“ წამოგეწევა და, ფონს გასულს, ვინ იცის, რა შავ დღეს დაგაყრის!..

ანზორ თურმანიძე, — ყველაფერი ზუსტად გამოვითვალეო და, **შვილი ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ობტიკის ინსტიტუტში** მიაწყო. და რადგან მექანიკა ნართულად რისამე ფარულ, რთულ მოწყობილობასაც ნიშნავს, ანზორმაც ფარული გზა აირჩია და საკუთარი ჭიბიდან აღნიშნული ინსტიტუტის მიმღები კომისიის აწ უკვე ყოფილი პასუხისმგებელი მდივნის, ვინმე **ფოკინის** ჭიბეში გარკვეული თანხის გადანაცვლებით თავისი შვილი ფონს გაიყვანა! რაკი სიტყვა „ყოფილი“ ვახსენეთ, ბარემ ისიც დავძინოთ, რომ **ანზორ თურმანიძეს**, — ბათუმის ვინ-ე სასურსათო მაღაზიის ყოფილ გამგებს, სივრცეში სხეულთა გადანაცვლების კანონის თანახმად, აჭარის ასსრ პროკურატურა ალბათ ადგილსამყოფელს შეუტყვის! შეუტყვის იმიტომაც, რომ მადა ჭამაში მოუვიდა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სხვათა შვილების მოწყობაც განიზრახა! დღეს **ანზორი** თავის საქმიანობას ასე აგვიწერს. მხოლოდ კარგად მომზადებულ ბავ-

შვებს ვემუტრეობდი, ჩააბარებდნენ გამოცდებს? — ფული შემერჩებოდა, არადა — დავუბრუნებდიო! ბრწყინვალე ანგარიშია!.. მაგრამ, ვანა რომ ქვეყნად გულუბრყვილონიც ვხვდებით, ლაღ არიან და ამ ცუდად ნასროლ ბადეში მოყოლილთა სიაც საკმაოდ გრძელია!


არავინ იცის, თუ რატომ ირჩევდა **თურმანიძე** რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ ინსტიტუტებს, მაგრამ ის კი სათქმელია, რომ ამით თანამომეტა სახელს ჩრდილს აყენებდა! შეუჩრდილის გარჩევა კი **თურმანიძეს** ნამდვილად მართებდა თუნდაც იმიტომ, რომ საქმე ობტიკის ინსტიტუტთან ჰქონდა, ობტიკა კი, მოგეხსენებათ, ფიზიკის ის ნაწილია, რომელიც სინათლეს სწავლობს! ჰოდა, ეს საქმეც დღის სინათლეზე ამიტომ გამოვიტანეთ!

თურმანიძის მალამოს შვება მოაქვს ჭირში მყოფთათვის, ვინ მოთვლის, რამდენია მადლიერი ამის გამო და ამიტომაც საწყენი, გულსატკეპია შეგონება სიფიზოსისა, რათა წამალი საწამლავეში არ აგვეროს!

ფარდა არ ეშვება

ალექსანდრე ალადაშვილი,
ნარგიზა მგელაძე,
ჯაალ მესხაშვილი,
რევაზ ოსაფაიშვილი,
ჯურაბ რცხილაძე,
შანი სინარულიძე.

ნახ. ა. კანდელაკისა



გამის ჩივილი

ყოველ ზაფხულს ცეცხლში ვიწვით,

არ გვაქვს ღსენა,
 არ გვაქვს შვება!..
 ჩვენს შვილს სწავლის თავი არ აქვს,

გამოცდებს კი არ ეშვება!
 წელს მეოთხედ მიდის ქალაქს,
 ღელვით, დარდით გული ცვდება!..

აღბათ ისევ ჩაიჭრება,
 გამოცდებს ვერ გამოცდება!..
 შინ სუყველას გული გვტკივა,
 ყველანი ვართ გაცოცხლებას,
 შვილი საქმეს ხელს არ ჰკიდებს,
 გამოცდების გამო ცდება!

ნოდარ შამანაძე

— არ ჩამკრათ, თორემ თქვენს კონსტრუქტორებს ვუჩივლებ!



— შვილო, ხომ იცი, გამოცდაზე რას უნდა მიაქციო მთავარი ყურადღება?
— საგამოცდო კომისიის წევრებს!

კუზინანი

ხარობს სხვისი ნაოფლარით, მსხვერპლს დაეძებს, როგორც ქორი!.. უმაღლესში აწყობს „ბავშვებს“ კუზინანი პროტექტორი!..

ის წმინდანის ნიღბით დადის, საქმეს ჩარხავს დღისით, მზისით!.. დოცენტის თავს ისე ხმარობს, პროფესორსაც კი „შურს“ მისი!..

ოღონდ ფული წაგვლიჯოს და, ფორთხვით ვადის კარებიდან!.. მზე მოცვივა ცრუ მეცნიერს ხინკლისტოლა თვალებიდან!..

ფულს თუ მისცემ, ყოვლისშემძლე ვარდად აქცევს ბარდს და ეკალს!.. მეცნიერის ნაცვლად ამ კაცს ფულცნიერი უნდა ერქვას!..

ჯუპალ კვარანახილაკი

საკრებინული კლემოსიაზე



იუმორისტა

მათიმატიკის წერაში ჩავიჭერი. ახლა მამაჩემ ფილიპესთან და დედაჩემ (რომელიც ღრმად არის დარწმუნებული ჩემს სიმართლეში) მაცაცოსთან ერთად, ვდგავარ საპრეტენზიო კომისიის წინაშე!

გაღმობილეს ნაწერი.
— აქ მართი კუთხე უნდა მიგედლო! — ამბობს გამომცდელი, — აბა, დამინახე მართი კუთხე!

მე თავს ვიფხან და ქალაღდს ვაწვადებ!..

— მთელი გაკვეთილები კუთხეში გაქვს გატარებული და კუთხეს ვერ ნატვ? — შფოთავს მამაჩემი.

— აბა, დადექი სმენაზე! — თქვა გამომცდელმა. მეც გავიჭიმე თოხის ტარით. — ახლა მარჯვენა მკლავი გაშალე სხეულის პერპენდიკულარულად მხრების სიმაღლეზე, ასე, რამდენი გრადუსია აქ? — მომადო ხელი იდლიაში გამომცდელმა.

— 86, შვილო, 86, გრიბი გქონდა მაშინ, 40 გრადუსი გქონდა, ახლა ნორმაზეა, დედა, ნორმაზე! — მკარნახობს დედაჩემი.

— ეს მკლავი შენს სხეულთან ქმნის მართ კუთხეს და უდრის 90 გრადუსს! — დუღუნებს უკმაყოფილო გამომცდელი, — აი, მესამე საკითხშიც შეცდომაა, ამოფხვაც არ გეხერხება?!

— ამოფხვავა და ამოძირკვა მე მკითხეთ, ბატონო. მაგი სასწავლებლად ჩამოვიყვანეთ აქ! — ისევ ჩაერია ფილიპე.

— მეოთხე საკითხში შეკრებაში უშვებ შეცდომას, — განაგრძობს გამომცდელი, — აქ მრიცხველში გვაქვს 49, ვუმატებთ სამს, გვექნება 52, ორს ვწერთ და ხუთს ვინახავთ!..

— რატომ ვწერთ ორს და ვის ვუნახავთ იმ ხუთს?! დაგვიწერეთ ხუთი და ორი, ვისაც გინდათ იმას შეუნახეთ, ჩვენც გვესმის რაღაც! კილამ მომიკლეს ბაღანა, 90 გრადუსამდე აუწიეს სიცხე! წამოდი, შვილო!

ჩვენი თავმჯდომარე ქე გასწავლის გაყოფას და არ დეიკარგები დუნიაზე! ფილიპე, გამოადგი ფეხი! — დაიძახა უკვე მიმავალმა დედაჩემმა.

მე ბოდიში მოვუნახე კომისიას, რადგან საპრეტენზიო მასთან აღარაფერი მქონდა, არც იმის ბრალი იყო, რომ 18 რიცხვი იდგა, მე-18 ნუმერი ბილეთი შემხვდა და მე-18 ვაგონითაც ვიმგზავრე... დასანანი მარტო ის იყო, რამდენ ჩაის ფოთოლს მოვკრეფდით მე, დედაჩემი და მამაჩემი ჩემთვის ამ მიუღებელი მისაღები გამოცდების პერიოდში!

გამოუპარავი განცხადება

ინსტიტუტში მარცხნიდან შემოსული სტუდენტებისათვის მუშაობს სახალილო, ზემოდან შემოსულთათვის — ლიფტი, პირდაპირ შემოსულთათვის — ბიბლიოთეკა.


- სად აბარებდი?
- სასოფლოზე!
- რა გკითხეს?
- არაფერი, თავზე ხელი მომიჭირეს, საზამთროს სიმწიფეს რომ უსინჯავენ ხოლმე ისე, და მითხრეს, ჯერ ადრეა, გაისად მოზრძანდითო!

ჯაურ ბაღუაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ეს რა მისაღები გამოცდებია?! ათი წელია ჩემს შვილს არ ღებულობთ!



რატომ არ ვლევულოვ გამოსდებს...

მოთხრობა

— აბა, ვინ მეტყვის, რა საჭირო უმაღლესში მოსაწყობად?
 — რასაკვირველია, ცოდნა! — ერთხმად იტყვიან თქვენ, მაგრამ ხომ შესაძლებელია, ერთი ხმა ურწმუნო კაცისაც გამოერიოს და ოპტიმისტური შექანილების ფონზე პესიმისტურად ჩაიჭირებოდეს, ცოდნაზე უფრო საჭიროა ნაცნობობა, პროტექცია და... ფუი ეშმაკს! რას არ იტყვიან კაცის ენა!

მისაღები გამოცდები, როგორც წესი, ზაფხულში ტარდება, მაგრამ შენი ფათერაკები გაცილებით ადრე იწყება. მაგალითად, ზამთრის ერთ მოჰამდულ დღეს, როდესაც დეკემბრის სუსხი ტანზე ბალანს ავიშლის და, სამოყვრო ამინდიაო, შეგახსენებს.

მოხვალ, ჩემო ბატონო, ასეთ ყოიამეთში საკუთარ ოჯახში და უპირველესად, რასაკვირველია, რადიკატორზე ფეხებს შეაწყობ, მაგრამ გაცილის ვინმე ბებერი ძველების გათბობას?! ყინვაში გაგდებულ ძალღვივით დაიწყებუტუნებს ტელეფონი და, სხვა რა გზა გაქვს, ყურმილი უნდა აიღო!

- გისმენთ!
- ზალიკო ხარ?
- კი ვარ!
- აბა, მე ზალიკო ვარ! გამარჯობა შენი!
- გაგიმარჯოს, მაგრამ რომელი ზალიკო ხარ?
- ასე უნდა, ბიჭო, ნათესავის დაჯიყობა?
- ბოდიში, მაგრამ ზალიკო მე ნათესავი არავინ მყავს!
- არც ვალიკო გყავს ნათესავი?
- თავს ძალას ატან და იხსენებ.
- ვალიკო კი, ჩემი მამიდაშვილის მძახალია.
- აგაშენა ღმერთმა! მე კიდევ ვალიკოს სიდღერის ბიძაშვილი ვარ!.. მიცანი?

ვერ გიცანიაო, რომ უთხრა, უზრდელობაში ჩამოგართმევენ, ამიტომ საჩქაროდ უნდა დაუდასტურო, როგორ არა, გიცანი და ხომ მშვიდობააო!

— მშვიდობის სადღეგრძელოს სუფრაზე შევსვამთ, ჩემო ზალიკო! — გაგიშინაურდება ახალგაგონობილი ნათესავი, — ხუთ წუთში გამოგივლი მანქანით და ვიგრილობთ ერთი ჩვენებურად!

- სად უნდა ვიგრილობო?
- პალიკოს ბიჭის დღეობაზე... მამამისმა დამბარა, ზალიკო თუ არ იქნა, კაპიკა ჩემი პურ-მარიდის ფასიო!
- პალიკო ვინაა?
- ჩემი სიმამრის გარე ბიძაშვილია, წვენებში მუშაობს მიმღებად. ახლა არ მითხრა, არც მისი ცოლის — ანგელინას გამოცხვარი ხაჭაპური მიჭამიაო!.. ერთი სიტყვით, სუფრაზე გავაცნობ ყველას!.. მოვდივარ, აბა! იცოდე, არ მალოდინო, ზიშკართან დამხვდი!

ამ ჩახლართულ ნათესაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო „წვენების“ სხენება დაგაბეჭდებს პატოსან კაცს, მაგრამ როდის იყო, საგანგებოდ დაპატიჟებულ სტუმარს უარი გასვლია?! არც იმის მომიზნება გიშველის, რომ წნევა გაქვს და ღვინოს სათო-ფედ არ ეკარები!... ერთ საათში სუფრის თავში იჯდები და როდესაც ანგელინას გამოცხვარი ხაჭაპურს გემოს გაუსინჯავ, შენს სადღეგრძელოს ყველა ფეხზე ამდგარი შესვამს. ყასიდად ერთი გაკვირვება კიდევაც უნდა გაიკვირო, ამდენი ქების ღირსი არა ვარო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გაგეხარდება.

ჰო, მართლა, პალიკოს ბიჭს ვანიკო ჰქვია და მის სადღეგრძელოს ლიტრიანი ყანწით რომ დალევ, ასეთი სიტყვები უნდა უთხრა:

- ჩემო ვანიკო და ჩემო ბიძია, გაგიმარჯოს და შენს სწავლა-განათლებას გაუმარჯოს, სკოლა სულ ხუთებზე დაგემთავრებინოს და არც უმაღლესში გექვამოს სირცხვილი!
- სწავლა-განათლების პრობლემებზე სულ რომ არ ვთქვა არაფერი, კარგი იყო, მაგრამ წამსდარ საქმეს აწი ვერაფერი უშველის. გულაჩუყებული ვანიკოს მამა, პალიკო, ჩხვერში დამბალ ულვაშებს ენერგიულად დაგიკონის და თან სხვათა შორის შემოგაპარებს:

- სკოლის „ხუთები“ არ გამიჭირდება, მაგრამ... — არავითარი „მაგრამ!“ — იყვირებს შენ. — კაცი იმედით ცოცხლობს ქვეყანაზე!
- იმედო, იცოცხლე, კარგი საკონელია, მაგრამ როდესაც მთვრალი ხარ და საკუთარ ნათქვამს კონტროლს ვერ უწევ, კაპიკა მიხი ფასი! რამდენიმე თვის შემდეგ ღვინოში ნათქვამი სიტყვები ნალმით აგიფეთქდება ოჯახში.
- გამოცდების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, ვთქვათ, გამარტებაზე, კარს დაუპატიჟებელი სტუმარი აგიწყრილებს.

- კაი გამარჯობა, ბიძია ზალიკო!
- გაგიმარჯოს, ჩემო... — ვანიკო ვარ მე, პალიკოს ბიჭი, ჩემი სადღეგრძელო ლიტრიანი ყანწით რომ დალიეთ, სწორედ ის ვანიკო! („შემაი დამელია, კი ჯობდა!“).
- მობრძანდი, ბიძიკო, კარებში რას გაჩერებულხარ?! — ნუ გეშინიათ, კიდევ ბევრჯერ გამოგივლით, წელს ქიმიურზე ვაპირებ შევსვლას და... ახლა ამ სურჯინს დაგიტოვებთ, მამაჩემმა გამოგიგზავნათ, ფქვილი და სულგუნია შიგ!
- („გაბითურებენ, მგონია, ეს უპატრონოები! — ფქვილი და სულგუნო, ისე ამბობენ, თითქოს სურჯინი ასიანებით იყოს სავსე!“).
- დიდი მადლობელი ვარ, ბიძიკო, რატომ წუხდებოდით?! — ბიჭი ეშმაკურად ჩაიცინებს, შეუწუხებთ, გამოცდები რომ დაიწყება, პატარას მაშინ შეგაწუხებთ, მანამდე კი ტელეფონით ხშირად დაგირეკავთ!
- ვანიკო დროებით წავა, მაგრამ შენ ერთბაშად სადარდებელს გაიჩენ! ბოლოს და ბოლოს, არც ისეა საქმე, პალიკო და მისი ბიჭი რომ ფიქრობენ! ტყუილად კი არ გვასწავლის ქართული ანდაზა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო.
- ტელეფონის დადგმა ძნელი, თორემ მის გადაჭრას რა უნდა! სხვათა შორის, ამას ქურდი კარგად ახერხებს, როდესაც ბინის გაძარცვას დაგაპირებს. ანალოგიურად შენც გადაჭრი ტელეფონს და ქურდულად ივლი ბინაში, მაგრამ არ იფიქრო, ვინმე მოგასვენებს, ფირალბევივით ჩაგისაფრდებიან გზაში და სულს ამოგხდინან!..

ჯერ, როგორც წესი და რიგია, ხეყნა-მუდარას დაგიწყებენ:
 — ბატონო ზალიკო, არ დაგვლუპო და არ დაგვაქციო, ამისთანა ახგელოზი ბალანა, უმაღლესის მაგივრად, ქარხანაში არ გაუშვა!

- მუდარიდან მუქარაზე გადავლენ:
- გაწყობილ სუფრაზე რომ იჯექი და ყანწებს ატრიალებდი, იგი კარგი იყო?!
- შენ, რასაკვირველია, ნერვები აგეშლება და მთელი ქუჩის გასაგონად იყვირებ:
- ორმაგად გადაგინდით მაგ პურ-მარიდს, ოღონდ თავი დამანებეთ!

— ვერ დაგანებებთ!... ღომი და სულგუნო რომ ამოგიტანეთ მე-ხუთე სართულზე, გემრიელი იყო, ხომ?!... სადაც საჭიროა იქ ვიტყვი, ქრთამი აიღო და საქმე არ გავიკეთაო!

კოსმონავტიც რომ იყო, ამ სიტყვების შემდეგ, ინფარქტი თუ არ დაგარტყამს, წნევის მაინც ვერ გადაურჩები! თანაც, ვინ იცის, პალიკოსა და ვანიკოსთანა კიდევ რამდენი დაგვგდება გზაში?! მე შენ გეტყვი, ერთბაშად გაგახსენდება, ამ ცაფირუხმელეთურმულტ ქვეყანაში რამდენ სუფრაზე გაგიტენია პური და რამდენი სადღეგრძელო მოგიქარავს?! თუ საჭირო იქნება, ღომსა და სულგუნს კი არა, თავის დროზე გაყინული ქათმის ბარკალსაც გინაგარიშებს სტუმართომოყვარე მასპინძელი. ამიტომ ყველაზე უფარი საშუალებაა, ადგე და პატოსნად განაცხადო, ავად ვარ და მისაღები გამოცდებიდან გამათავისუფლეს!

როგორ გგონიათ, არ დაგიჯერებენ და ექიმის ცნობას მოგთხოვენ?!

ალექსანდრა საგსონია




— რას იმალები, შე კაცო, კომისიის თავმჯდომარე ხარ, ქურდი ხომ არა?!



— მთვარეულია?
— არა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა და პროტექტორებს ემალება!

მისაღები გამოცდების ახალი საფეხბურთო ტერმინოლოგია



დაცვითი ვარიანტი — გულისხმობს პროტექტორთა შემოწმებით ფონს გასვლას.

თავისუფალი მცველი — პროტექტორი, რომელიც შეუზღუდავლად მოქმედებს.

გარემცველი — ვინც „გარედან“ ეხმარება აბიტურიენტს.

მოიერიშე მცველი — ძალზე აქტიური პროტექტორი.

მწმენდავი — შეუბრალებელი გამომცდელი.

თავდასხმელი — უცნობი გამომცდელი.

მოთელვა — უპატიოსნო გამომცდელთა თავდასხმა უპატრონო ან პატიოსან აბიტურიენტზე.

ცოცხალი კედელი — აბიტურიენტის „დამხმარე პერსონალი“.

გარეშარბი — აბიტურიენტი, რომელიც სახლში არ ჩერდება.

ორმაგი ვარდნა — როცა აბიტურიენტთან ერთად პროტექტორიც ვარდება.

მასაჟისტი — ვინც ზურგს, წელს და გულს უმაგრებს გამოსაცდელს.

ცრუ მოძრაობა — „შპარგალის“ გამოყენება გამომცდელთა შემჩნევლად.

პროტექტორი — მოსყიდული მსაჯი.

მ. ზოგელთაილი

ნადირთა ქმობა

კველი ივანე-არაქის შაიდაზე

„სტაკელა მოსტაკლეთა“

პაროდია

ისმინე, სწავლის მძებნელო,
ფუნდაფუნ მიპყვე მოდასა,
თავს ნუ შეაკლავ სკოლაში
ვაჟას, ილიას, შოთასა!..
შენი მამიკო გაყიდის
ვენახს, ბაღსა და ოდასა,
მტრის თვალის დასაბნელებლად
არ ჩამოგარჩენს მოდასა!
ნუ უსმენ ხალხმა იყბუდოს
და ღვარძლიანდ იცნოს,
შენ დამთავრებ „გეპიის“,
„პუშკინს“ ან სამედიცინოს!..
სხვები წავიდნენ ქარსნებში,
რალა შენ უნდა იწვალო?!
შენს თავს მისედე, ბიძიკო,
სწავლამა თავში ქვა ინალონი!
ნუ დაესწრები ლექციებს,
რად გინდა პრაქტიკუმი?!
ღმერთს შეევედრე, მამაშენს
არ შემოაკლდეს ფულები!
წიფნს ნუ გადაშლი ამაოდ,
სწავლას გულს ნულარ დაუდე,
სჯობს, მატრიკულში ლექტორებს
ხელის ჭუჭუნს თუკი ჩაუდე!..
ხუთ წელს გაათრევე როგორმე,
კაცი დადგები ნამდვილი,
ოღონდ, დიპლომი მოგცენ და...
მოინახება ადგილი!..
ისეთ სამსახურს იშოვი,
მტრებს დაუსკლებათ გულები!..
დაჯდები კაბინეტში და,
კონვერტით მოვა ფულები!..

ნიკოლოზ იოსებოძა

უმაღლეს სასწავლებელში მიმდები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, დათვით ბაზბაჯა და მძვინვარე პროფესორი, შეუამხანავდა თავისი სამწყსოს ორ გამომცდელს: მგლური სინარბითა და შეუპოვრობით სახელგაყარდნილ დოცენტს და მელასავით გაქსუბულ ახალგაზრდა პედაგოგს. რაკი მათ მიერ ცხოვრების ეტალონად მიჩნეული და წესად შემოდებული უსაზომო ხელგაშლილობა და წრეგადასული ფუფუნება ზენორმატიულ ნარჩებს ითხოვდა, გადაწყვიტეს, სეზონურად ვინმე საქმოსანი კლიენტი გამოეჭირათ, უვიცი ნაშეირის ინსტიტუტში მოწყობაში დახმარებოდნენ და პროტექციის საფასური ძმურად გაეყოთ.

უმცროს კოლეგას შუამავლის როლი დაეკისრა, მიყნოს-მოყნოსა, საკბილო მოძებნა, უფროს თანამოძმეთა შემწეობით „ბავშვი გზაზე დააყენა“, რის საზღაურადაც გაბედნიერებულ მშობლებს რვა ათასი მანეთი დასცინცლა, თან რიგინი ქვიფიც გადახდევინა და..

მეორე დღესვე სამეული ნადავლის გასანაწილებლად შეიკრიბა. ამ უღარესად სათუთი აქციის ჩატარება თავმჯდომარემ ოპერაციის მეორე მონაწილეს, მსუყე ულუფის მოლოდინით კბილებაკაწკაწებულ დოცენტს მიანდო. — ათასი მანეთი — ჩემს ასისტენტს სარფიანი გარიგების ორგანიზებისათვის! — ბრძანა ნდობით აღჭურვილმა პირმა. — ხუთი ათასიც — მე, როგორც საქმის სულისჩამდგმელს და იდეის ცხოვრებაში გამტარებელს!.. აბიტურიენტი ხომ მე მოვამარაგე შპარგალეებით და გადაწერაშიც ვუშველე ვაჟკაცურად. დანარჩენი ორი ათასი კი — თქვენს!..

— რაო?! — ამოსაფრქვევი ვულკანით წამოიზიდა თავმჯდომარე. — თქვენ ხომ სხვა არხებიდანაც... — სცადა ახსნა-განმარტების მიცემა დოცენტმა, მაგრამ თავმჯდომარემ აღარ დააზუსტებინა, ტორი ქეჩოში ჩაავლო, შეაჯანჯღარა და ბურთით გაისროლა კარში. მერე შიშისაგან სუბთლად გაღეულ შუამავალს მიუბრუნდა და ნადავლის გაყოფა უბრძანა. შუამავალმა ქალაღღში შეფუთონილი ფულის დასტა აქავებულ ხელისგულებში მოიტყცია, განრისხებულ შეფს მიუჩოჩა და უთხრა: — ეს უველაფერი თქვენ, მბრძანებელო, ჩვენს მიმართ გამოჩენილი უსაზღვრო ნდობისა და მამობრივი მზრუნველობისათვის! ჩვენ კი გუშინდელი პურ-მარილიც გვეყოფა ნუგეშად და ტკბილმოსავინად!

— ბარაკალა, ბარაკალა! — მოუწონა ნაამებმა შეფმა, — ვინ გასწავლა ასეთი ბრძნული გაყოფა? — თქვენს მიერ ოსტატურად გატანილმა გოლმა! — საბოლოოდ მოინადირა მბრძანებლის გული ცბიერმა ქვეშევრდომმა. ამჟამად საბივენი „გალაოში სხედან!“

ბურბე უარაშიძე



საჩუქარი

ქარგი ღონისძიება

- მისაღებ გამოცდებზე ისეთ ღონისძიებას გავატარებთ, რომ პროტექცია სრულიად აღიკვეთება!
- ნამდვილად კარგს იზამთ, ოღონდ ნუ აჩქარდებით!.. ჯერ შვილი მყავს მოსაწყობი!

არჩევანი

- პოლიტექნიკური გინდა?
- მინდა!
- სამედიცინო?
- მინდა!
- უნივერსიტეტი?
- მინდა!
- მერე სად არის, შვილო?!
- რატომ?! აკი შეძლება და გავლენა გვაქვსო?!
- ის დრო წავიდა! ახლა ვისა აქვს ხუთი თავი?! მარტო შენი თავის იმედზე დავრჩით!

ბასაუბრება

- მათემატიკაში მოისუსტებ, ყმაწვილო!
- პატივცემულო, როგორც ცნობილია, ბეთჰოვენი, დარჯინი, პუშკინი ამ საგანში ჩემსავით მოისუსტებდნენ.
- სამაგიეროდ, შენგან განსხვავებით ისინი სხვა რამითაც იყვნენ ცნობილი და ჩვენს ფაკულტეტზე ჩარიცხვა არ უცდიათ!

ინსტიტუტის პისაღკოვანთან

- გაგანია სიცხეში ამდენი ხალხი რომ მისევია, რას არიგებენ?
- ნიშნებს.
- მერე, როგორ დგანან, რიგი არ იციან?!

საივლო ნახვარი

- შენი ბიჭი რომ ჩაირიცხა, ვინმეს იცნობდა საიმედოს?
- როგორ არა, საგნებს იცნობდა!

რინგა

- გამომცდელი: პირველი ამოცანა ამოიხსნიათ.
- აბიტურიენტი: ერთით წული.
- გამომცდელი: მეორე — ვერა.
- აბიტურიენტი: ერთით ერთი.
- გამომცდელი: პირველი მაგალითი გამოგიყვანიათ.
- აბიტურიენტი: ორით ერთი.
- გამომცდელი: მეორის გამოყვანა არც გიცდიათ.
- აბიტურიენტი: ორით ორი.
- შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ახლო მომავალი

- უწყება მოგიტანეთ! თქვენს ქალიშვილს უმაღლესში ჩასარიცხავად იბარებენ!
- რას ერჩით?! სკოლამ ჩინებული პროფესია მისცა, სამუშაო და ხელფასი კარგი აქვს. დროზე გათხოვდება, ოჯახს მოეკიდება!..
- აბა, რა ვქნათ?! ახალგაზრდობა შრომას მიეძალა. დასწრებულზე კონტინგენტი არ გვყოფნის!
- თუ ჩემი გოგო გიშველით, პირადად მას მოელაპარაკეთ! დედა ვარ, მაგრამ მაგ საქმეში არ ვერევი!


რეპატიტორების განსხვავება

სასწავლო პროგრამების შეცვლამდე ვასრულებ დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საშინაო დავალებებს არითმეტიკაში (რიცხვთა თეორია), ალგებრაში (დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა), ფიზიკაში (კვანტური მექანიკა)... აგრეთვე წერით სამუშაოებს ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში... ყოველდღიურად ვატარებ გაკვეთილების დამატებით ახსნას აღნიშნულ და სხვა საგნებში (ჩაწერა ურიგოდ)

ვაშადავ აბიტურიენტებს უმაღლესში ჩარიცხვის გარანტიით. ჩაწერა რიგის მიხედვით.

შინაწერი მდგომარეობის გამო სასწრაფოდ ვაშადავ აბიტურიენტებს ნებისმიერ საგანში.

აპოლონ ბასილია



- ერთმანეთში შერევისას წყალი გამდიდრდება თუ შაქარი?
- მომაწყვეთ, ბატონო, და გამდიდრება ჩემზე იყოს!

...წარვედ თბილისში!

(კაროლია)

წარვედ თბილისში გამოცდების ჩასაბარებლად, აქ ვეძიებდი ნაცნობ ვინმეს დასახმარებლად, აქ, თუნდ ჩავიჭრა, თვალს არასდროს ვინამებ ცრემლით, აქაც მრავალი ჩემისთანა იყო მოწყენით.

ნელა წამოდგა გამომცდელი, ფურცლებტკარცალა ყველა „შპარგალკა“ ჩამომართვა, ამომაცალა!.. ვინ იცის, ჩემზე რას ფიქრობდა იგი ლექტორი, მრავალ გამოცდის მოწამეა და რომ ვთქვა სწორი, სამართლიანად დამიწერა იმ დღეს მან „ორი“.

თვითონ ლექტორნი, განსწავლულნი, რომელთ უმაღლესთ ხელთა უპყრიათ საგამოცდო ავლა-ლიდება, შფოთვენ და სწუხან და მეტყვიან: „შენისთანები ჩვენ საწვალბლად გამოცდებზე არა გვჭირდება!“

თვით კეთილ ლექტორს როდისა აქვს სიმშვიდე, ძილი?— აწუხებს ქვისლი, ბიძაშვილი, ნათლისშვილი, მაგრამ რადგანაც კაცი ჰქვია მასაც მოყვრებში, უნდა ვილაცხს დაენშაროს, მისცეს ნუგეში! არც იგი ვარგა, გამოცდიდან პირი იბრუნოს, იყოს ლექტორი, — ახლობლისთვის არა იზრუნოს!

ნატო ხალაღავილი
(ორჯონიკიძის რაიონი, სოფელი ჩხერი)

ნეფუესკის მოთხევა

ჩემ წელს გადაწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყოდა, ამ ხელობის შეწყობით, მომეგროვებინა სტატი ინსტიტუტში შესასვლელად.

მართალია, მამაჩემი ფულიანი კაცი იყო და ხორაგეულიც ბლომად მოჰქონდა შინ, მაგრამ მე, როგორც თბილისელს, ცოცხალი ცხვარი ჯერ არ მენახა. აზრზე არ ვიყავი, რას ერქვა ყოჩი, თოხლი, ერკემალი, შიშაქი, ჭედლა თუ კრავი, მაგრამ სიძნელეს არ შევეპაუე, ავიღე ჯოხი, თოფი, წამოვისხი ყისინა, ბაშლუყა წამოვიგდე თავზე და ასე გავხდი მეცხვარე.

მამაჩემი ჩემი წონა ფული ჰქონდა, ან იქნებ მეტიც, მაგრამ მე პატიოსანი გზით მიხდოდა „ძროხუნტში“ მოწყობა და იმად წამოვედ მთაში.

„სვეტი“ მეცხვარე ვიყავი, საძოვარზე ფერადი ავიანების კარავი მედგა, შიგ ნაირ-ნაირი საძილე ტომრები, ღამის ხალათები, პიჯამები, ქოშები, საბოები მეწყო; ტანსაცმლიდან ფერადი ლაბადები, კურტკები, ლაიკა, ტვიდი, რატინი, ვილვეტი, ჯინსი თავზე საყრელად მქონდა, შნოს გულისათვის ნაბდებიც მეყარა, გასაშლელ საწოლზე მატყლით ვატენილი ორფუთიანი ნალი მეგო, ზემოდან კი გულისპირმოგვირისტებული ფერადი საბნები მეხურა. დღისით იაპონური სტერეომეგნიტოფონით ვირთობდი თავს, საღამოს უთოგაკრულ ქვეშაგებში ვიწეკი და პორტატული ტელევიზორის მირაჟებს ვნებდებოდი. დილდილობით ვვარჯიშობდი, ჩანჩქერის ორთქლიან შხაპს ვღებულობდი, ახლმოწურულ ყველს მივირთმევიდი, ნატურალურ ყავას ვსვამდი, კონიაკთან ერთად, და, თუ კარგი ამინდი იყო, სეირნობით მივყვებოდი ფარას, თუ არადა — ვინმე გამოცდილ მწყემსს ვჭირაობდი, მას ვაგზავნიდი საველე პრაქტიკაზე, მე კი მეცხვარეობის — ამ მოღურის პროფესიის თეორიულ საფუძვლებს ვეუფლებოდი — სალამურის დაკვრასა და ფანდურზე უწყაწური შაირების დამღერებას ვსწავლობდი.

ერთხელ, ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ცხვარი არ გავგეშრო და დე-

დალ ცხვარს მივსდგომოდი მოსაწველად, რომ ორნი მოვიდნენ. მე უბრალო მწყემსივით მეცვა და, აბა, რას მიხვდებოდნენ, რომ ფულიანი კაცის შვილი ვიყავი და სტატიის გულისათვის ვირჩებოდი. მე თვითონ კი მაშინვე ვიაზრე, რომ მამაჩემის გამოგზავნილი კორესპონდენტები იყვნენ.

— ვისი ცხვარია? — მკითხა ერთმა და ფარაზე მიმითითა.

მე დავუხსენებე კოლმეურნეობა.

— შენ თვითონ ვინა ხარ, საიდან?

— ახლა მეორე შემეკითხა.

— მე არახვეთელი ვახლავარ, შენი კენესამე, — მოვუქციე მთიულურად, — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო. ჩემი მიზანია, უზრუნველყო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა მატყლითა და ტყავით, ხოლო ქალაქის მოსახლეობა — ერთბოთი, ყველით, რძით, კარაქით, ხაჭოთით და არაყინით, აგრეთვე ხორცი, როგორც უმით, ასევე მოხარშულით: ჩიყი-პიყით, ჩაქაფულით, ჩანახბილით, ბასტურმით, ყაურმით, მწვადით, ჩანახბითა და ხაშლამით. თუ როგორ მიიღწევა ეს ყველაფერი, ახლავ პრაქტიკულად ვაჩვენებ, — ვუთხარი და მისი ფერდობზე შეფენილ ფარას ზემოდან მოვექეციე, ერთი დიდი ლოდი დავაგორე და თვალი მივაღვენე — ორი ბოხლი გაიტანა. ორი საათის შემდეგ ყაურმა მზად იყო, მწვადიცა და აქტიცი!.. (ჩამოწერის აქტზე მოვახსენებთ!)

— ნუთუ მართალია, რომ თქვენთან ერთი თბილისელი დიდკაცის შვილი უბრალო მეცხვარედ დადის ცხვარში? — მორიდებით მკითხეს სტუმრებმა.

მაშინვე გამოვუტყდი და ძალიანაც ვავაკვირვე ორივე. ალბათ მალალი თანამდებობის პირს დაარეკინა მამამ, რაკი ასე განცვიფრებულები შემომყურებდნენ... რაც ვუთხარი, ყველაფერი ჩაიწერეს და სურათიც გადამიღეს: ნაბაღწამოსხმული, ჩომბახზე დაყრდნობილი ვიდეკი ფარის წინ, ჩემს ფერხითთ კი ენაწამოგდებული ნაგაზი იწვა, მერე კორესპონდენტებმა სალამური ჩამიდეს ხელში და სათურეც თავისთავად იშვა: „მთაში სალამურს ვაკენესებ!“ ამ სურათმა ყველა გაზეთი მოიარა.

პირველი სიხარული არ გამნელეზობდა, რომ ახლა რადიოდან მესტუმ-

რნენ და ფირზე ჩაიწერეს ბატონის ხორცისაგან ამსუყებელი ჩემი ჩორჩი ხმა.

ეს მეორე სიხარული ელექტრონული მედგა და მბურძღლავდა, როცა მესამე მეწვია — ტელევიზიიდან მომაკითხეს. იცოცხლე, დავფატურდი, ქალამნებში ჩავდგი ფეხი და გულანაბადი ავიკარ. არც დღეა ჩემთვის, არც ღამე — ღამე-მეთქი ჩავილიდინე. მერე იმათ მკითხეს, რა არ გაძინებსო, ქვეყანაზე დარდი-მეთქი, ვუპასუხე. ავდეკი და ჩემი აღრინდელი ინტერვიუ, ზეპირად რომ მახსოვდა, სულ ფაფხურა ფარაზებით ამოვტენე: დოლი ტყუპი ბატონებით დავიწყე და ნამატის მიღების გეგმა ორასი პროცენტით შევასრულე. უდანაკარგოდ, თანაც შემჭიდროებულ ვადებში ჩავატარე ცხვრის პარსვა (პარვა არავის ეგონოს!) და სახელმწიფოს ზეგეგმით მივეცი ასობით ტონა ხარისხიანი მატყლი-მეთქი. სხვა მწყემსებს ეციენებოდათ ამის გაგონებაზე, მაგრამ ისინი კადრში არ ჩანდნენ. მხოლოდ მე ვადამიღეს, ხმაც ჩაიწერეს და დამემშვიდობნენ.

კიდევ ერთი კვირა და ხალხს ეკრახნიდან ვადმოვხედე. ეს ვინა გველიაო, გაიკვირვა ყველამ, საიდანაც არ ველოდი, იქიდან გამომექომაგნენ. ცნობილი და საყვარელი ადამიანი ვავხდი. ჩემი ნახევრადგამწყვდარი ფარა ჩამოწერის აქტებით შევავსე, სტატიის ცნობები ვავიამსჯე და თბილისისაკენ დავიძარ.

„ძროხუნტში“ უგამოცდოდ მიმიღეს.

ახლა დიპლომიანი ბეითალი ვარ და თუ ჩემთვის უფრო დიდი არ მოვიტალე, სხვას ციკქანასაც არ ვუთელი — ხორცკომბინატში ვმუშაობ.

ასეა, სახელი თუ მოიპოვე, სახრავი თვითონ მოგძენის!

ელგუჯა მერაბიშვილი
ილუსტრაციები ღ. პრისტავისა



დილოგები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— მე იმიტომ ვრჩები სოფელში, რომ აქ უფრო სა-
ჭირო ვარ!



— რა ამბავია ამდენი ხალხი?!
— ჩვენი თავმჯდომარის შვილი აბარებს!

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

— შეილო, რატომ არ უპასუხე მეორე და მესამე საკით-
სებზე?
— შენ არ მასწავლე, ბევრი ლაქლაქით გამომცდელებს
თავი არ მოაბეზროო?!

— მისალები გამოცდების დროს ჩემი სახლი სასტუმროს
კავს! როგორ მოვიქცე?
— სახლი დაკეტე და სასტუმროში იცხოვრე!

— ჯავშანს რომ იზომებ, კინოში გიღებენ?
— არა, მიმღებ კომისიაში!

— პროფესორი კაცი საკუთარ სახლში სახურავიდან ჩა-
ღიხარ?
— აბა, კარებიდან ვინ შემიშვებს, მთელი ჩემი ნათესაობა
იქა მყავს ჩასაფრებულნი!

— შეილო, გამოცდაზე თავშეკავებულად სომ იქცეოდი?
— რა თქმა უნდა, არც ერთ საკითხზე პასუხი არ გამიცია!

— რატომ არ პასუხობთ შეკითხვებზე?
— თქვენ ნიშანი დამიწერეთ და, პასუხს ჩემი მშობლები
გაცემენ!

— აბიტურიენტო, რას იტყვით პოეტის სიტყვებზე — „დიდი
განძია ცოდნის შეძენა“.
— მართლაც დიდი განძია პატივცემულო, მაგრამ ძალიან
ძვირი ჯდება!

— რატომ არ უპასუხე არც ერთ შეკითხვაზე?
— გამომცდელი დამემუქრა, რამდენ შეცდომასაც დაუშვებ,
იმდენ ნიშანს დაგაკლებო!

— გთხოვთ მოგვასენოთ, თქვენი საგამოცდო კომისია რო-
გორ მოემზადა მისალები გამოცდებისათვის?
— ბინები დავეკეტეთ, ცოლ-შვილი უშიშარ ადგილებში გა-
ვხიზნეთ, ჩვენ კი ძიუღოსა და კარატეში ვვარჯიშობთ!

— ძალიან გთხოვთ, ბატონო პროფესორო, ჩემს შვილს უშ-
ველოთ, თავს იკლავს მკურნალობისთვის!
— ჩემი ავადმყოფია?
— არა, თქვენი აბიტურიენტია!

— გაიგე, შენი პროტექტორი პასუხისგებაში მიუციათ!
— რატომ?
— შენ რომ არ გთხოვდა პასუხს გამოცდებზე, იმიტომ!

— ყველაფერზე „არ ვიცის“ რომ იძახი, რა დაგემართა?!
— იმდენი შეკითხვა დამაყარეთ, პატივცემულო, რომ და-
კითხვაზე მგონია თავი!

— წელს სომ დამლუპეთ! გაისისთვის რას მირჩევთ?
— მოქმედების მრავლობით რიცხვში გადაყვანა ისწავლე,
შუალობით კონტაქტს დაუფლე — ამით სასხვისო ქცევასაც
აითვისებ! სათავისო ქცევასა და მიმღობას მოეშვი, ოღონდ,
ყველა მოქმედების დროს, მთავარი ყურადღება ნათესაობით-
სა და მიცემითს მიაქციე!

— რამდენჯერ გთხოვეთ, დაუფიქრებელ პასუხებს ნუ იძლე-
ვით-მეთქი!
— ნურც თქვენ იძლევით დამაფიქრებელ შეკითხვებს!

— გამოცდიდან რომ გამოგაძევეს, თავდაჭერილად სომ
იქცეოდი?
— თავი სულ არ გამინძრევია და იმიტომაც გამომაძევეს.

ალმანჯორ თაყაძე,

დისკვილი

საქბრნი

გენო — მე გენო ვახლავართ, ბატონო ომარ, დავითის მძახალი, გეტყობათ, ალბათ!..
ომარი — კი, მითხრა, თქვენი დისშვილი აბარებს თურმე ჩვენთან!

გენო — კი, ბატონო, ჩემს ხელში ვაზრდილი ბავშვია, დისშვილი კი ჰქვია, მაგრამ შვილში არ გამოჩენილა. ერთ კოვზს რომ ჩემს შვილს ვაჭმევდი, მეორეს — მაგას, ერთი თეფში საჭმელი რომ გვეკონოდა, იმასაც შუაზე ვავყოფდი, თხილის გულს ვუნაწილებდი ერთი დედამისის შვილებივით!..

ბატონო ომარ, თქვენც ხომ გყავთ დედამამიშვილები? ძმა, მაგალითად?
ომარი — არ მყავს!

გენო — აი, აი, აი!.. და უთუოდ გეყოლებათ!

ომარი — არც და მყავს!
გენო — ნწ! ნწ! ნწ!.. რას მეუბნებით?! მშობლები ხომ ჯანმრთელად არიან?

ომარი — გმადლობთ, კარგად არიან!

გენო — უფ.. ავაშენოთ!.. კიდევ კარგი, თორემ გული კინაღამ გამისკდა დარდით. მშობლები დიდი განძია. რა ვუყოთ ახლა, და-ძმა რომ არ გყავთ, ეგ ვის არ დამართინა?! სამაგიეროდ, მშობლები ჯანზე გყოლიათ და ეგვა მთავარი და მოსალაცი! ასეც რომ არ იყოს, აგერ არ ვარ?! როცა გაგეხარდებოთ, რაშიც გაგეხარდებოთ, სადაც გაგეხარდებოთ, ვისთანაც გაგეხარდებოთ, ძმად მიგულეთ! მე მოგიკვდეთ, ბატონო ომარ, თუ ღვიძლ ძმად არ მიგულეთ! მაძლევთ პირობას?

ომარი — რის პირობას?

გენო — რომ ძმად მიგულდებოდეთ!

ომარი — ვნახოთ, მომავალი გვაჩვენებს!

გენო — აჰ! არავითარი მომავალი და წარსული! ჩვენ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ, ვცოცნლობთ და ვარსებობთ! გაუმარჯოს ჩვენს აწმყოს, ჩვენს ძმობასა და ერთობას, ძმა ძმისთვის, შვიი დღისთვისაო!

ომარი — დაბრძანდით!

გენო — კი, ბატონო!..

ომარი — როდის დაამთავრა თქვენმა დისშვილმა?

გენო — საშუალო დამთავრებული აქვს, ჩემო ომარ!.. შეიძლება, „ჩემო“ დავიძახოთ?

ომარი — როგორც გენებოთ!..

გენო — ჰოდა, რაზე მწყდება გული იცი, ჩემო ომარ? დისშვილს ვეძახი და ღვიძლ შვილად კი მიმჩნია, ასე ხელში აყვანილს ვაძინებდი, აქეთ-იქით ვაქანავებდი და ვუმღეროდი: აა-ა! ახლა კიდევ დისშვილს ვეძახი! ეჰ!

ომარი — დისშვილი თუკია, აბა, რას იზამთ?

გენო — ჰა-ჰა-ჰა! თქვენც მართალი ბრძანდებით, ჩემო ომარ, რა კარგად ბრძანეთ!

ომარი — როდის დაამთავრა თქვენმა დისშვილმა?

გენო — მშვენიერად სწავლობდა სკოლაში, ჩემო ომარ, ატესტატის ქულა ოთხი მთელი და სამოცდაათმეტრი მეთასედი აქვს. რალაც ოცდახუთი მეთასედი მიაკლდა ხუთი-ანზე, მაგრამ მაგას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა! მთავარია, ახლა არ მივაკლოთ არაფერი, ასე არ არის, ჩემო ომარ?

ომარი — რა არ უნდა მივაკლოთ?

გენო — რაც ეკუთვნის, ჩემო ომარ, რაც ეკუთვნის!.. არადა, ყველაფრის ღირსია მაგნიური ბავშვი. ისეთი თანამედროვეა, ისეთი

გამოსულია, რომ ნახავთ, გული ვაგინათლდებით, რა ჩემი შვილი და, რა ეგ, ვერ ვარჩევ! მე, მაგალითად, ვერ ვარჩევ! ერთიმეორეზე უკეთესები არიან. ეგაა, რომ ჩემი შვილი სტუდენტია უკვე და ის — არა! აი, ეს განსვავთ ჩემი ტრაგედია, ბატონო ომარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენი მონდობებით და ხელის შეწყობით, ეს ტრაგედია ოპტიმისტური იქნება! ასე არ არის, ჩემო ომარ?

ომარი — თუკი რამე შემოძლია!

გენო — ჰა-ჰა! შემიძლიაო? რა მოკრძალებული მყავხართ, ჩემო ომარ! რა თავმდაბალი! დავით სიმონიჩმაც მითხრა ეგ, მაგრამ არ მჯეროდა! არ შეიძლება! თუ ჩვენ საკუთარი თავი არ დავაფასეთ, სხვა სულ არ დავაფასებ! თუ გიყვარდეთ, თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქვს, ნუ იზამ მაგას! მაძლევ პირობას?

ომარი — რის პირობას?

გენო — ნუ იქნები ასე მოკრძალებული, თავი მაღლა გეჭიროს მტრის ჯინაზე!

ომარი — გამოცდა როდის აქვს?

გენო — ზებ, ჩემო ომარ, დილის ცხრა საათზე. შვილად რომ არ მიმჩნდეს, კი არ შეგაწუხებდით არც შენ და არც დავით სიმონიჩს, როგორმე ხუთიანი უნდა მივალე ბიწით, ჩემო ომარ!

ომარი — ხომ იცით, ეგ წერაა და გააჩნია, როგორ დაწერს!

გენო — რა თქმა უნდა, დავით სიმონიჩმაც ასე მითხრა, მაგრამ შენი ძმობისა და ვაჟაკობის იმედი გვაქვს, ჩემო ომარ! წარმოიდგინე, შენი შვილი რომ აბარებდეს. მართალია, დისშვილია, მაგრამ შვილზე უფრო შვილია ჩემთვის!

ომარი — გვარი და სახელი?
გენო — სულიკო სკვინჩაძე!
ომარი — სულიკო?! ბიჭია, თუ გოგო?
გენო — ა.. ჰე-ჰე... რა მარჯვედ შენიშნენ, ბატონო ომარ, მაგაზე არც მიფიქრია; სულიკო კაცსაც ჰქვია და ქალსაც, ბიჭსაც და გოგოსაც. აი, რას ნიშნავს გამჭრიახი გონება, სხვა მაგას ყურადღებასაც არ მიაქცევდა!..

ომარი — ბიჭია?

გენო — მაგას რა მნიშვნელობა აქვს? კი ამბობდნენ, მაგრამ არ მჯეროდა, ბიჭებს შეღავათს უწევნო. არ არის ეგ სწორი, ბატონო ომარ, ბიჭი და გოგო რამ გაყო, ორივე აბიტურიენტია და ორივეს სტუდენტობა უნდა! ასე არ არის!..

ომარი — ასეა, მაგრამ მინც უნდა ვიცოდე, ბიჭია თუ გოგო თქვენი დისშვილი!

გენო — ბიჭია, თუ გოგო?! დავიჯერო, ეგ ასე მნიშვნელოვანია? ან ბიჭი იქნება, ან გოგო! სხვა ვარიანტი არსებობს? ჩემო ომარ, ა? ვაფიცებ!

ომარი — არსებობს!

გენო — მაგალითად?

ომარი — ახლა წახვალ და დავით სიმონიჩს ეტყვი, არ ვიცი, ჩემი დისშვილი ბიჭია თუ გოგო-თქო!.. ნახვამდის!..

ლარი ჩანტლაქაძე

ნახ. შ. ლელაძისა



— ქალიშვილის მოწყობა მინდა უმაღლესში და პროტექტორს ვიქებ!
— პროტექტორს ვერა, მაგრამ სასიძოს გამოგიგზავნი უმაღლესს!

მკვიფრული!

იუმორესკა

საქართველო
გეორგიანთა

514
17 VIII 84



— ჩვენ კი გავჩუმდებით, მაგრამ ამ რადიომ სულ მოგვჭრა თავი!

„...რა ნაცნობი სახეა! სადღაც ნაღდად მინახავს, მაგრამ სად?!. მგონი, ჯამლეთის ქორწილში, ნათესავების სუფრასთან, თუმცა იმათ ყველას ვცნობ, არც ერთს არ ჰგავს! შეიძლება, შორეული ნათესავია?!. არ იყო ის დიდი ქორწილი, ას კაცზე მეტი არ იჯდა, სულ ახლობლები. შორეული არ იქნებოდა იქ! შეიძლება, კუჭულისთან, თუმცა კუჭულისთან ვინ დადის?!. მაგის ყველა ახლობელს ვცნობ, ვენიას ნათესავსაც არ ჰგავს!.. არადა, რა ნაცნობი სახეა! ღმერთო, გამახსენე!.. ჟორა კორსანტიამ რომ გოგო გაათხოვა, დიდი ქორწილი გადაიხადა, ხუთასი კაცი იჯდა, მარა თბილისიდან არავინ იყო!.. დიდი სმა წავიდა მაშინ, გაპოზილი ვიყავი და ვინ დამამახსოვრებოდა?!. გადასარევი ქორწილი კი იყო, ხუთ სართულად ედგა პურ-მარილი, კიღამ ჩინგრა მაგიდა! მასეთი ქორწილი არც მახსოვს!.. რამინა მეჯიბრებოდა, მარა მოვტყევე კისერი! მეც მოვტყედი, მარა იმას უმალ მოტყედა! კოტოშია მეორე ყანწის მერე გაითიშა. ევეჰ, კარგი იყო!.. სადღაც ნაღდად მინახავს, მაგრამ სად?! ღმერთო, გამახსენე, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!.. ზუგდიდის პროფილაქტორიუმში რომ მუშაობს შურას მამიდა-შვილი, იმას ჰგავს!.. რა სისულელეს ვფიქრობ, ზუგდიდი რა შუაშია აქ!.. სად?! სად?! სად?!. გამახსენდა, მადლობა ღმერთს, მგონი გადარჩენილი ვარ, ვანიჩკა ბიძიას დაბადების დღეზე ჩემს პირისპირ იჯდა. წვეთი არ დაუღევია, ძალიან ჩააცივდა თამადა, მარა შეეჯდა ჯორზე და მორჩა!.. არ სვამდა, ნამდვილად არ სვამდა და იმიტომაც დამამახსოვრდა! ნაღდად ეგას!.. მგონი, ვანიჩკას ნათესავია!.. რა ჰქვია, გამახსენე!.. მგონი, კოტე!.. კი, კოტე ჰქვია!..“

— აბიტურიენტო, ნომერო ცხრამეტო, მოიფიქრეთ ბილეთის საკითხები?
— დიას, პატივცემულო, მოგიფიქრეთ..

სოლ. აელოვანიძე

ზყუილი თუ მართალი?

აღმა-დაღმა უთავბოლოდ დაქრის მამის მანქანით!..
სულ „ხუთებზე“ სწავლობს მაინც! —
ტყუილი თუ მართალი?

მშობლის ხათრით აპატიეს „შატალოზე“ ტანტალი!..
სკოლა „ხუთზე“ დაამთავრა! —
ტყუილი თუ მართალი?

ინსტიტუტში რომ მოეწყოს, მამა დარბის ქაქანით!..
სულ „ხუთებზე“ ჩააბარა! —
ტყუილი თუ მართალი?

ქეფსა და მოლხენაში არ ჰყოლია ბადალი!..
უშაღლესიც დაამთავრა! —
ტყუილი თუ მართალი?

დიბლომი აქვს, ცოდნა — არა, მაგრამ, როგორც სარდალი, სადღაც რაღაც საქმეს მართავს! —
ტყუილი თუ მართალი?

ტ. მართალაძე

ნახ. მ. ზარაზუშვილისა



— შეილო, ამ ბილეთმა „05“ მოიგო და შენ ერთ სამიანს როგორ ვერ გამოგატანინებს!



სატიროსა და იუმორისტულ-
ნალი "სიაზი" № 13-14
(1672) იმლისი. გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ზოლვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ვახუა ამირჯიბი, ნოზი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჭეშან ლო-
ლუა, ნოდარ მაღაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 26.6.
84 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 18.7.84 წ. ქალა-
ლის ზომა 60 X 90¹/₈
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, საარტიცხო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,7, სა-
ქართელოს კვ. ცვ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
შეკვეთა № 1406 უფ. 10562
ტირაჟი 138.300. უფრანლო
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
ბროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-29-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტე-
სკი журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улицы
Ленина № 14.

ფასი 40 კაპიკი
ინფიქსი 76137

პროფესორის განსაჯირი

იუმორესკა



პროფესორმა საათს დახედა, ფოფორიანი ისრები თორმეტს უახლოვდებოდნენ!..

— დროა! — ჩაიბურტყუნა მან და თავშესაფრად განკუთვნილი კარადიდან გამოძვრა. მხრებში გაიმართა, უკაცრიელ ქუჩაში ქურდულად გამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა და, ღამის გრილი და სუფთა ჰაერით გამოცოცხლებული, შინისაკენ გაემართა. მთელი ამ დღეების მანძილზე პროფესორმა პირველად იგრძნო თავი მშვიდად და სტვენაც კი წამოიწყა, როგორც პატარაობისას, სოფლად მწყემსობის დროს იცოდა ხოლმე.

უცერად ვილაცის შემზარავი ხმა ჩაესმა:
— შეჩერდი! ან — ფული, ან — სული!

ტოტებგაშლილ წაბლის ხეს მოფარებული ნიღბიანი კაცი გამოხტა და პროფესორს დამბაჩის ლულა მიაბჯინა.

პროფესორმა ხელეები ასწია და სინარულისაგან აკანკალებული ხმით შესძახა:

— ო, ბატონო ჩემო, ნუთუ ყურმა არ მომატყუა, ფულს თხოულობთ და მეტს არაფერს?!

— აბა, სხვა რა უნდა მეთხოვა?! — წაიბურღლუნა მძარცველმა აგდებულად.

პროფესორმა უბის ჯიბიდან საფულე ამოიღო, მერე დანარჩენი ჯიბეები მოიხსრიკა და პირწმინდად ამოკრეფილი ხურდა ფული და ავტობუსისა და ტროლეიბუსის აბონემენტებიც მძარცველს მუჭაში ჩაუყარა. თან გულაჩუყებულმა დასძინა:

— ვერ წარმოიდგენთ, როგორი დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო ძვირფასო!

— მადლობელი?! — განცვიფრებისაგან პირი დაალო მძარცველმა და დამბაჩის ლულით კეფა მოიფხანა. — მადლობას რისთვის მიხდით?!

— იცით რა, ჩემო კეთილო, თქვენ ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ამ ბოლო ორ კვირაში შემხვდა და თავისი ქალიშვილის, ვაჟიშვილის, დის, ძმის, ძმისწულის, დისწულის, რძლის ან სიმის უნივერსიტეტში მიღება არ მთხოვა. გაბეზრებული ჩემი კაბინეტის კარადაში ვიმაღები. ერთი ადგილია დამრჩა, სადაც თავისუფლად შემიძლია სული მოვიტყვა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჩაეკითხა მძარცველი ათროლოლებული ხმით.

— მე ვარ უნივერსიტეტის პროფესორი! — თქვა მან და გულდამშვიდებული გაუდგა გზას.

— ერთი წუთით! — ჩახლჩილი ხმით მიაძახა მძარცველმა, — მე ხომ თქვენი ვინაობა არ ვიცოდი. აბა, წაიღეთ თქვენი საფულე... და, მის ნაცვლად. იქნებ დიბლომი მომცეთ?

— არავითარ შემთხვევაში! — სასოწარკვეთით შეჰყვირა პროფესორმა და ხელეები გაახავსავა, — თუ ძარცვაა, ძარცვა იყოს!..

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა
ილუსტრაცია ზ. ლომიძისა